

გაზეთი ბეჭედავს „ვერსიას“ ერთი

ვერსია

ფასი 60 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№93 (1119) 23 - 24 სექტემბერი, 2015 წელი

საქართველო ასოციაციის
გაერთიანება კლინიკურ
ღავეებს განიხილავს

„სახელმწიფო
ცდილობს,
მაქსიმალურად
აკონტროლოს
ხარჯები“

გვ. 8



ექსკლუზიური ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან



ნინო გვენეცაძე **გვ. 3-4**
უბუდავას, ჟვანიას,
„მამუდიჩას“
გახმაურებულ
საქმეებს, ნაფიცი
მსაჯულების ინსტიტუტს,
პროკურატურისა
და სასამართლოს
რეფორმებს აფასებს

ბუნტი ქახეთში

რა უნდა ღირდეს
1 კგ ყურძენი

სუბსიდირება – მახინჯი
ეკონომიკური სისტემა **გვ. 5**
პოლიტიკური ვაჭრობისთვის!

გელა სამხარაული:

გვ. 9 „თუ გლეხი ვერ გაყიდის
ყურძენს, მაშინ სახელმწიფო
იმ ფასად ჩაიბარებს, რომ
მევენახეებს მოგებას ღარჩეს“

ვაზის გარეხვითა და სავარგისო აქტივობით
ახმეაზის რაიონის გლეხების იმუქრებიან **გვ. 6**

საზარელი
მკვლელობა
„გლავოკიდან“



დასჯის
დღიური

მამის ნაცვად მოკლული
16 წლის გოგონა და
თითმოჭრიდი მკვლელი **გვ. 7**

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

გაზეთ „ქართული სიტყვის“ მე-11 ნომერში (18-24 მარტი), გამოქვეყნდა ინტერვიუ ანგანსვენებული ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის მეუღლესთან, ქალბატონ მარო მაცაბერიძესთან. ინტერვიუში გაიხარა გარკვეული უზუსტობები, რისთვისაც გაზეთის რედაქცია ქალბატონ მაროს ბოდიშს უხდის.

ივარიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ტაძრის გუმბათზეა ჯვარი აღმართა



მახათას მთაზე ივარიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართა. ჯვრის აღმართვის პროცესს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაესწრო.

როგორც საქველმოქმედო ფონდ „იანვანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე აცხადებს, ტაძრის დასრულება 2017 წლისთვის იგეგმება: „ეს ის ტაძარია, რომელსაც მთელი საქართველო აშენებს. ასეთი რამ მსოფლიოში არ მომხდარა და ალბათ, არც მოხდება. აქ მთელი ღამე არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა და ხალხის ნაკადი. ჩვენი მიზანია, 2017 წლის 25 დეკემბერს დასრულდეს ტაძრის მშენებლობა, რადგან აღსაყდრების 40 წელი ამით გვიწინდება მიულოცოთ ჩვენს უწმინდესს“.

ჯვარი, რომელიც ივარიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გუმბათზე აღმართა, პატრიარქმა 20 სექტემბერს აკურთხა.

„პირველი“

პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა მოინიშნა



23 სექტემბერს 17:00 საათზე, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა 2016 წლისთვის; სამხედრო აღმშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები; „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2015-2018 წწ. დოკუმენტის“ პროექტის სამხედრო საფრთხეების ნაწილი განიხილება.

მომხსენებლები იქნებიან თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე.

საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო ძალების რაოდენობას ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

„ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა 2/3-ის უმრავლესობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან ერთად.

საქართველოს კონსტიტუციის 93 მუხლის მე-2 პუნქტისა და საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 38-ის თანახმად, საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მონვეულნი არიან საბჭოს მუდმივი წევრები.

„პირველი“



საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ მიხეილ ჯანელიძე დაინიშნა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლაშვლის 2015 წლის 21 სექტემბრის №385 ბრძანების საფუძველზე, მიხეილ ჯანელიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნამდე, მიხეილ ჯანელიძეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. მას, ასევე, აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის გამოცდილება, კერძოდ, 2003-2004 წლებში, მიხეილ ჯანელიძე სამინისტროს საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და კვლევის ცენტრში საქმიანობდა.

მიხეილ ჯანელიძე გიორგი კვიციანიშვილის ეკონომიკის მინისტრობის პერიოდში მისი მოადგილის პოსტს იკავებდა.

„არის საშიშროება, ქართულ პარლამენტში 2016 წელს პრორუსული ძალები მოვიდნენ“

როგორც თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა BBC-ის გადაცემა HARDtalk-ში სტუმრობისას განაცხადა, თუ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ, არის საშიშროება, ქართულ პარლამენტში პრორუსული ძალები, გადაწყვეტილების მიხედვით მოვიდნენ. „ვარშავის სამიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან მას საქართველოში 2016 წელს დაგეგმილი არჩევნები ემთხვევა. თუ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს არ მიიღებენ, არის საშიშროება, ქართულ პარლამენტში პრორუსული ძალები მოვიდნენ გადაწყვეტილების მიხედვით. ეს მოლოდინი ნამდვილად არსებობს და ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვებიც ამაზე მიანიშნებს. ეს არის დემოკრატია, თუმცა წინამორბედებისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვკრძალავთ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში და არ ვიჭერთ პოლიტიკურ ოპონენტებს“.



თავდაცვის მინისტრმა საქართველოს ნატო-ში განუვრიახებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ჩვენი ქვეყანა, უკვე 21 წელია ნატო-ს კარზე აკაკუნებს: „შეგვიპრდნენ, რომ თუ რეფორმებს ვაგაფარებდით და შევასრულებდით დაკისრებულ მოვალეობებს, საქართველო გახდებოდა ნატო-ს წევრი. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მივიღეთ იმედგაცრუება, როდესაც საქართველოს უარი ეთქვა MAP-ის გადაცემის თაობაზე, თუმცა, სამიტზე ნატო-ს ყველა ქვეყნის ლიდერმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატო-ს წევრი ქვეყანა და ეს გადაწყვეტილება ძალაში რჩება“.

თავდაცვის მინისტრის თქმით, არ არის სიმართლე, თითქოს საქართველოს მოსახლეობას არ აინტერესებს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია, პირიქით, ეს მათთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ხიდაშელის განცხადებით, ხალხი თავს გრძნობს იმედგაცრუებულად, რადგან აღარ სჯერა, რომ ეს მოხდება ახლო მომავალში.

როგორც თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, ხალხი ნერვიულობს სამუშაო ადგილებზე, სოფლის მეურნეობაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, იმაზე, სად უნდა გაყიდონ თავიანთი პროდუქტები. მაგრამ ხვალ რომ საქართველოში ომი დაიწყოს, ეს ყველაფერი დავიწყებთ მიეცემა, რადგან ადამიანები დაიხოცებიან: „საქართველომ სხვებზე უკეთესი იცის, რა არის ომი. ბოლო 25 წელია ვიბრძვით დამოუკიდებლობისთვის, დემოკრატიისთვის, ევროპული საქართველოსთვის, გაუმჯობესებული უსაფრთხო გარემოსთვის. ქართველები ის ხალხია, რომლებიც უდიდეს კონტრიბუციას ახორციელებენ საერთაშორისო მისიებში ტერორიზმის დასამარცხებლად. პროცენტულად, საქართველო ჯერ კიდევ პირველ ადგილზეა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის მხრივ ავღანეთის მისიაში და ეს იდეა კვლავ პოპულარულია საქართველოში. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ასეთები ვართ და სხვანაირად არ შეგვიძლია. ჩვენი გვიანდა, ყველა იმ მოქმედებების მონაწილე ვიყოთ, რომელიც მსოფლიოს უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში ეხმარება“.

გიგი უგულავას სახელმწიფო სამსახურში დაინიშნა თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა



თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, 6 თვის ვადით სახელმწიფო სამსახურში დაინიშნა თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა.

მთავარი პროკურატურის განცხადებაში, რომელიც თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას დამნაშავედ ცნობას ეხება, წერია: „გიორგი უგულავას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა ქალაქ თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კუთვნილი დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ასევე, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დაინიშნა თანამდებობის დაკავების უფლება“.

პროკურატურის ცნობით, აღნიშნულ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის წინაშე ბრალდების 87 მოწმე დაიკითხა, მათ შორის ექსპერტები, ადგილობრივი თვითმმართველობის რგოლში დასაქმებული თანამდებობის პირები და კოორდინატორები, რომელთა ჩვენებებითაც, დადასტურდა, რომ ქალაქ თბილისის მერმა გიორგი უგულავამ 2010-2011 წლებში პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების, ე.წ. კოორდინატორების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში განუღივლი პარტიული საქმიანობის დასაფინანსებლად, საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე თბილისის მერიის მიერ დაფუძნებულ შპს „თბილსერვის ჯგუფში“ ფიქტიურად შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება 712 საშტატო ერთეულით, სადაც ფიქტიურად გააფორმა შემოსვენებული 712 კოორდინატორი, მაშინ როდესაც ისინი რეალურად შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სასარგებლო სამუშაოს არ ასრულებდნენ.

პროკურატურის განმარტებით: „ამრიგად, ქალაქ თბილისის მერიის გიორგი უგულავას მხრიდან, პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიფლანგა 4 196 756 ლარი. გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილი და გამოკვლეული იქნა არაერთი წერილობითი მტკიცებულება, რომელთა ერთობლივი ანალიზით და მოწმეთა ჩვენებებთან სრული თანხვედრა სასამართლომ უტყუარად მიიჩნია და გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ“.

პოლიციის მკვლელობაში ბრალდებულ რამაზ დევაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მტკიცებულებები და პოლიციელის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ რამაზ დევაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის 27 დეკემბერს, ქალაქ ბათუმში, დისკო-კლუბ „ლეგასში“, არაფიზიკურ მდგომარეობაში მყოფ რამაზ დევაძეს შელაპარაკება მოუვიდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს პოლიციის მე-7 განყოფილების თანამშრომელ თარაშ მუკბანიანთან. ჩხუბის დროს რამაზ დევაძემ თარაშ მუკბანიანს წაართვა სამსახურეობრივი იარაღი და შურისძიების მიზნით, იარაღიდან გასროლით თავის არეში მიიყვანა მუკბანიანი. მიღებული ჭრილობისგან თარაშ მუკბანიანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა რამაზ დევაძე იმავე დღეს საქართველო-თურქეთის საზღვარზე იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი მიმალვას აპირებდა. სასამართლომ დევაძე დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან



ნინო გვენეტაძე
599-95-33-16

ნინო გვენეტაძის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევადან თითქმის ნახევარი წელი გავიდა. ამავე სასამართლოს ყოფილი მოსამართლე სისტემაში არსებულ პრობლემებსა და ხარვეზებს, რომელთა მსხვერპლი წლების წინ თავადაც გახდა, ზედმიწევნით იცნობდა და მათი აღმოფხვრის გზებზეც ბევრს საუბრობდა. სწორედ ამიტომაც საინტერესოა, რა გაკეთდა ამ ნახევარი წლის განმავლობაში სასამართლო ხელისუფლების დასახვეწად და გასამართლად, რა ეტაპზეა დაპირებული რეფორმები და კონკრეტულად რა იცვლება უზენაეს სასამართლოში. ეს ხანგრძლივი პროცესია, მანამდე კი მსოფლიოს ყურადღებას ხშირად ვიპყრობთ, ხან პოლიტიკური რეფორმების, ხანაც დაუხვეწავი საპროცესო სამართლის წყალობით. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ყოფილი მერის, გიგი უგულავას სკანდალური პროცესი იყო, რომელიც ბოლო რამდენიმე დღის მთავარ თემად იქცა. მანამდე მთელი ქვეყანა „მამულიჩას“ საქმეზე, ცოტა ხნით ადრე კი ზურაბ ჟვანიას გახმაურებულ პროცესებზე საუბრობდა. ფაქტია, სამართლიანობის აღდგენის გზაზე, სასამართლო, სხვა სახელისუფლო შტოებზე მეტად თუ არა, ნაკლებად პოპულარული არ არის. ყველა ამ გახმაურებულ საქმეზე, ნაფიცო მსაჯულების ახლადდანიშნული ინსტიტუტზე საქართველოში, მედიაში მიმდინარე პროცესებსა და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიას“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე ესაუბრება.

— ინტერვიუ გიგი უგულავას გამოშვება-დაჭერით დაიწყო. იურისტების აზრი ამ დაძაბული პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად გაყოფილი იყო. ბევრი მიიჩნევდა, რომ პროკურატურა და სასამართლო დარღვევებით მოქმედებდა, წინასწარი პატიმრობის დრო ხელოვნურად გაჭიანურდა და ა.შ. საკონსტიტუციო სასამართლომ საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ნორმაც გააუქმა. როგორ აფასებთ პროცესს?

— სასამართლოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ფორმალური განაცხადი არ არის. თუკი თითოეული მოსამართლე დამოუკიდებელი იქნება, ასეთად ჩამოყალიბდება მთელი ინსტიტუტაცია. რაოდენ რეზონანსული და მგრძობიარეც უნდა იყოს კონკრეტული საქმე და საზოგადოების დიდ ინტერესს ინვესტირებს, მოსამართლეს ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეეძლოს, რათა სამართლიანი, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილება მიიღოს. მოსამართლე ისეთი კანონმდებლობით უნდა აღჭურვილი იყოს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მართლმსაჯულების აღსრულება შეძლოს. ამავდროულად, უნდა ჰქონდეს რეალური გარანტია, როგორც საქმის განხილვისას, ისე შემდეგ.

— რამდენად აკმაყოფილებდა სასამართლოს ქვეყა უგულავას საქმეზე მალალ ეთიკურ სტანდარტებს და რაკი, კონკრეტულად, უგულავას ციხიდან გამოსვლაზე კი არა, მთელი ნორმის გაუქმებაზეა საუბარი, რა ახალ რეალობას ვიღებთ ამით?

— ამ მხრივ, კომპლექსური საქმიანობა უკვე დაწყებულია. სწორედ ამის შედეგია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კონკრეტული ნორმები კონსტიტუციისთან შესაბამისობაში მოიყვანა. საერთო სასამართლოების სისტემა კი ვალდებული იყო, ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ემოქმედა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი კონსტიტუციის სტანდარტი ისედაც ცნობილი იყო, თუმცა აქ საპროცესო კანონმდებლობასა და კონსტიტუციის შორის იყო შეუსაბამობა და ეს ხარვეზი გასწორდა.

დღეს სასამართლოს მთავარი საზრუნავია, ყველა იმ ბრალდებულის საქმე, ვისაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება, სწრაფად გადაიხედოს და ახალ რეალობასთან შესაბამისობაში მოვიდეს. როცა ჩვენი დონორები,

ნინო გვენეტაძე უბედავს, ჟვანიას, „მამულიჩას“ გახმაურებულ საქმეებს, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტს, პროკურატურისა და სასამართლოს რეფორმებს აფასებს

უცხოელი პარტნიორები და ექსპერტები ამ რეზონანსულ საქმეებზე გვეკითხებიან, ვამბობ, გარკვეული პრობლემები მრავალი ფაქტორით, მათ შორის, საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა ხარვეზიანობით ან არასწორი სასამართლო პრაქტიკითაა გამოწვეული.

ასეთი სამართლებრივი რეალობა პირველად დადგა და ბუნებრივია, საპროცესო და ტექნიკურმა უზრუნველყოფამ გარკვეული ვენებათაღებულა გამოიწვია. საზოგადოება ყველაზე ხშირად დროის ფაქტორის გამო სვამდა კითხვას და საკონსტიტუციო სასამართლოს დაუყოვნებლივ აღსრულებას ითხოვდა. დიხს, ამან აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია, მაგრამ სასამართლოს მსჯელობის ფუფუნება არ ჰქონდა, გადაწყვეტილება დროზე უნდა მიეღო, რათა ადამიანის უფლებები არ დაეზარალებინა. თანაც, საპროცესო კანონმდებლობის გადასინჯვა, მისი შესაბამისობაში მოყვანა კონსტიტუციისთან ჩვეულებრივი პროცესია და მუდმივად გრძელდება. რამდენიმე თვის წინ პარლამენტში ჩვენც შევიტანეთ ცვლილება საპროცესო კანონმდებლობაში, აღკვეთის ღონისძიების 2 თვეში ერთხელ გადასინჯვის თაობაზე. მისი მალე ამოქმედებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ.

— როცა სასამართლო რეალური დამოუკიდებლობისკენ პირველ ნაბიჯებს დგამს, ყველაზე დიდი რეფორმა ჯერ პროკურატურაში ხომ არაა გასატარებელი, სწორედ აქ ხომ არაა პრობლემების სათავე და კიდევ ერთი — საზოგადოებას იუსტიციის მინისტრის პოზიცია აინტერესებდა, სად იყო ამ დროს თუა წულუკიანი?

— პროკურატურის, სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს რეფორმის საკითხი, ფაქტობრივად, ბოლომდეა მიყვანილი, მას პარლამენტი იხილავს და, ვფიქრობ, მალე კანონის სახესაც მიიღებს. მართალია, მართლმსაჯულების რეფორმა არ იქნება პროკურატურის რეფორმის გარეშე.

თავი და თავი მაინც ხარვეზიანი საპროცესო კანონმდებლობაა, რომელსაც პროკურატურა და სასამართლო იყენებს. საპროცესო კოდექსი უნდა გადასინჯოს! სახელმწიფომ სწორად გათვალა, რომ რეფორმის ხაზი დენისა და გამოძიების ორგანოში დაიწყო, მაგრამ ხელშესახები შედეგები ჯერ იმიტომ არ გვაქვს, რეფორმა კანონად არ ქცეულა. როგორც ვიცით, სექტემბერი გადაწყვეტი იქნება და პროკურატურაში, საკანონმდებლო რეფორმების ფონზე, რეალური ცვლილებებიც დაიწყება.

ეს რეფორმა პროკურატურას გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის პროცესს სწორედ დააგეგმინებს და ვადებთან დაკავშირებული პრობლემებიც მოიხსნება. ბრალდებულის მიმართ სწორი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა უნდა გატარდეს, განსაკუთრებით, მის მიმართ თავისუფლების აღკვეთის ნაწილში. ამ პროცესის სწორად ორგანიზება პროკურატურის ფუნქციაა, რადგან განაჩენის გამოტანამდე უფლება აქვს, ბრალდებაზე უარი თქვას. არსებული საკანონმდებლო ხარვეზები პროკურატურასაც აბრკოლებს. მნიშვნელოვანია დაცვის მხარის კვალიფიციურობა და ისიც, ხედავს თუ არა იგი კანონის ამა თუ იმ ნორმის ხარვეზს. ასეთი კომპლექსური მუშაობა და პარლამენტის თანადგომა იქნება შანსი, სასამართლომ გამართულად იმუშაოს. კონკრეტული საქმეები კი ხარვეზებს გამოავლენს, როგორც ახლა მოხდა: დაცვის მხარემ საკონსტიტუციო სასამართლოში საპროცესო კოდექსის იმ ხარვეზიან ნორმაზე მიუთითა, რომელიც ქვეყნის მთავარ კანონს ეწინააღმდეგებოდა. რაც შეეხება ქალბატონ თეა წულუკიანს, იგი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა.

— შესაძლოა, შესწავლის საგანი გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მძიმე განცხადება იმის შესახებ, რომ ამ პრეცედენტული გადაწყვეტილების შემდეგ, მერაბ ტურავას გარდა, სხვა მოსამართლეები იდევნიებიან, სახლთან ხვდებიან, ემუქრებიან, გასაჯაროვდა მოსამართლეთა მისამართები. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

— ძალიან ფრთხილად გიპასუხებთ: ყველა მოსამართლის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსეულობა და პირადი ინფორმაცია მალაღი საკონსტიტუციო გარანტიებიან და დაცული. თუმცა მოსამართლეც საჯარო მოხელეა და მას ხალხის ინფორმირების ვალდებულება აქვს.

დასასრული მე-4 გვერდზე



მოქალაქეებო, იყავით ფრთხილად!

ლევან სეფისკვირაძე

როდესაც ღამით შენს თავთან მარტო ხარ, მაშინ ყველაზე უკეთ უნცი, ვინ ხარ და რა შეგიძლია. საკუთარ თავთან მარტო დარჩენა ის აუცილებლობაა, რაც ყოველ ჩვენგანს თითქმის ყოველდღე უნცი და სავარძელს ჩაფრენილი მსხვილი სახელმწიფო მოხელეებიც შეუძლებელია გაექცნენ მას.

როდესაც არაფრისმცოდნე, არაფრისმაქნისი და თანამდებობაზე ახლობლობით, ჩანაყოფითა თუ მოყვრებით მოხვედრილი მოხელე საკუთარ თავთან მარტო რჩება, შესაძლებელია ყველაზე კარგად ხვდება მისი გაჩინოსების შემზარავობასა და ქვეყნისთვის საზიანოობას, მაგრამ თანამდებობის თანხლებ სიკეთეებზე უარის თქმა მისთვის ისევე ძნელია, როგორც ერთი ფერხორციანი კაცისთვის იმის აღიარება, რომ საქართველოს ეკონომიკა არცთუ სახარბიელო ვლემია და კაცმა არ იცის რას გვიმზადებს მომავალი.

ჩვენ ზუსტად არაფერი ვიცით სხვის თავში რა აზრები ფუთფუთებს და ვერც მის მორალურ შრეებს ამოვარყებუყებთ, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ქვეყნისთვის ყველაზე მეტი საფრთხის შემცველი ყოველთვის ის ადამიანები იყენენ ახლაც არიან, რომლებმაც უწყინან, რომ მათი ცოდნა და კვალიფიკაცია, რბილად რომ ვთქვათ, საერთოდ არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და მთავრობის ცვლის შემთხვევაში მათი გაპანდურება არათუ სასურველი, აუცილებელია! ამიტომ, არსებული ხელისუფლებისადმი ერთგულების ლოზუნგით, ასეთი მოხელეები ყველანაირი კანონიერი რეალობის შესანარჩუნებლად და პოლიტიკურ საფლავშიც კი ჩაჰყვებიან მათ დამნიშნავთ.

ერთგულება ზოგადად შესანიშნავი თვისებაა და ერთგული ადამიანები ხელისუფლებასაგანმანებნი არიან, მაგრამ მთავარი ისაა, რითია ეს ერთგულება ნაკარნახევი და რამდენად სიკეთისმომტანია ეს ქვეყნისთვის. მაგალითად, შეიძლება პატრონის უერთგულესი იყოს კაციჭამია პიტბულის ჯიშის ძაღლი, რომელმაც პატრონის ერთი ბრძანების შემდეგ, ნებისმიერი ადამიანი ცოცხლად გადასასწოს და კარგია ეს ერთგულება? აქვს რაიმე დადებითი ამ საზიზღრობას?

ადრე თუ გვიან რა თქმა უნდა ყველა ხელისუფლება შეიცვლება და დემოკრატიაც სწორედ ესაა. თუკი ჩვენი საცოდავი ქვეყნის უახლეს ისტორიას გადავავლებთ თვალს, რეიტინგდევარდნილ და არჩევნებში დასამარცხებლად გახაზირებულ მთავრობებს უკანასკნელ ქომაგებად ის სახელმწიფო მოხელეები ჰყავდათ, რომლებმაც დასაკარგი შაი, შაი, რომ ბევრი ჰქონდათ. ეს ჩინოსნები და მათი ნათესავები ქვეს და ხშირად ტყვიასაც კი ესროდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს, ეს ადამიანები და მათი ახლობლები არბევდნენ მიტინგებს, აფრქვევდნენ ზიზღსა და აგრესიას და როგორც იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ყოველად უკადრისი მეთოდებით.

და როდესაც ასეთი მეთოდებით „დაცული“ ხელისუფლებები რეგულაციისა თუ არჩევნების გზით მაინც ტოვებდნენ ქვეყნის სამართავ პულტს, ყველაფრის მკადრები მოხელეები ათასგვარი ხერხით ცდილობდნენ ახალ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვასა და იმის დამტკიცებას, რომ მათაც დიდი გულმოდგინებით ემსახურებოდნენ და მათთვისაც არ დაიშურებდნენ ოპონენტებისათვის ქვესისა და ზიზღის გუნდების სროლას.

სწორედ ამიტომაც ეს ხალხი განსაკუთრებით საშიში და სწორედ ამიტომ არსებობს მუდმივი საფრთხე, რომ ისინი, გადაამწყვეტ მომენტში, ხვალაც ისევე მოიქცევიან, როგორც მათი წინამორბედნი იქცეოდნენ. ერთ წელიწადზე ცოტა მეტი დროა არჩევნებამდე. მოქალაქეებო, იყავით ფრთხილად!

ექსკლუზიური ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან

მე-3 გვერდიდან

ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, დაცული, მაგრამ საზოგადოების, მედიის წარმომადგენლებს სრული უფლება აქვთ, დასვან კითხვები და აკონტროლონ პროცესი. ხალხს უფლება აქვს, იცოდეს, რა ვაკეთა სასამართლო და მიიღოს განმარტებები მარტივ და გასაგებ ენაზე; უფლება აქვს, აკრიტიკოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, ოღონდ ბარიერების დაცვით, შეურაცხყოფის გარეშე. ვგმობ ყველა რეაქციას, რაც კრიტიკის საზღვრებს სცილდება, მაგრამ, პირველ რიგში, სწორედ ჩვენ უნდა ავუსხნათ საზოგადოებას, რა ვაკეთებთ, რატომ, რაზე დაყრდნობით და რა მოვეცა კანონის ცვლილებამ.

მედიამ ძალიან კარგი ნაბიჯი გადადგა, როცა საზოგადოებას განუმარტა, რა და როგორ მოხდა და ხალხმა ყველა საკითხზე ნეიტრალური ინფორმაცია მიიღო. ესეც პროცესია და ამ პროცესში საზოგადოებაც უნდა დაიხვეწოს, გამოხატვის ფორმები ჩარჩოებში მოაქციოს, ეთიკის საზღვრებს არ გასცდეს. რაც უნდა არაპოპულარული გადაწყვეტილება მიიღოს მოსამართლემ, მისი უფლებები დაცული უნდა იყოს! სხვა თემაა, სად დაუშვა შეცდომა პროკურატურამ, სად იყო სასამართლო არაეფექტური, სად ვერ უზრუნველყო საპროცესო გარანტიების დაცვა. ეს უკვე საზოგადოების შეფასების საგანი ვერ გახდება, ვიდრე ამაზე კვალიფიციური შეფასება თავად სასამართლო ხელისუფლების შიგნით არ გაკეთდება. მოსამართლეებს ყოველთვის ვახსენებ, რომ დაცვის მაღალი გარანტიები ჩვენი უპირატესობა არაა, მათ საპროცესო, ხალხის წინაშე არანაკლებ მაღალი ანგარიშვალდებულება გვაქვს, ავუსხნათ და განუმარტოთ ჩვენი ნაბიჯები. ამ დაძაბულ პერიოდში საზოგადოებაც ღელავს და ბობოქრობს და მას ყველა კითხვაზე პასუხი სჭირდება. მთავარია, არ დაგვავინყდეს, რომ ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად ვერ მოხდება.

— ერთ-ერთ ასეთ უპასუხო კითხვად რჩება პროდიუსერ კახა მამულაშვილის, იგივე „მამულიანას“ საქმე, რომელიც ნარკოდანაშაულებზე იყო ბრალდებული და დარბაზიდან გაათავისუფლეს მაშინ, როცა იგივე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები ციხეში წლებს ატარებენ, საპროცესო შეთანხმების შანსის გარეშე. რატომ, რა მოხდა ამ შემთხვევაში?

— კონკრეტულ საქმეებს ვერ შევფასებ, რადგან მოსამართლეებს პირობა გვაქვს დათქმული. თუმცა ამ კითხვაში დასმული პრობლემა ნამდვილად დგას საზოგადოების წინაშე.

ჩვენც გვაქვს წერილები სასჯელადსრულების დაწესებულებებიდან, სადაც ნარკოდანაშაულის გამო მსჯავრდებული პატიმრები, რომელთა რიცხვი უდიდესია, გვეკითხებიან — რატომ არ აისახა კონკრეტულ საქმეებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლში ცვლილება ნარკოდანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის შემსუბუქების შესახებ? მსჯავრდებულები განმარტებას ითხოვენ და ეს რეალური პრობლემაა!

ამ თემაზე ახლაც გვაქვს მუდმივი კონსულტაციები სხვადასხვა წრეებთან და ვაპირებთ პარლამენტის პროგრესული პოზიციის განხილვას 260-ე მუხლში ამ საჩქევების შემსუბუქების შესახებ. სასამართლოს საკასაციო ინსტანციას, სააპელაციოსთან ერთად, ახალი გარემოებების გამო საქმის გადასინჯვა ევალება. აქ საერთო სურათის დანახვა საჭირო — რა დამოკიდებულება აქვს პროკურატურას, ზოგადად, 260-ე მუხლით მსჯავრდებულ პირებთან მიმართებაში, როცა მისი დაპატიმრების მოთხოვნით მოდის სასამართლოში და როგორია თავად სასამართლოს პრაქტიკა. ძნელია კონკრეტულ საქმეზე საუბარი, როცა დეტალური სპეციფიკა არ იცი, ამიტომ კატეგორიული პოზიცია ვერ მექნება.

— დამკვირვებლისთვის კი საქმე მარტივადაა — ამ კონკრეტული საქმის „სპეციფიკა“ ლეა ნურნუშია იყო.

— ამ კითხვაზე პასუხს ვერც კი ვაგებდავ, რადგან უფლება არ მაქვს, მაგრამ მნიშვნელოვან პრობლემას მივგავით — საზოგადოება სრულად ინფორმირებული არ არის და ითხოვს პასუხს გადაწყვეტილებაზე, თუმცა ვიდრე ადამიანს ბრალდებულის სტატუსი აქვს, ხალხს გარკვეული თავშეკავება მართებს, რადგან ბრალდებულს უმაღლესი გარანტიით, უდანაშაულობის პრეზუმპციით სარგებლობს.

— კიდევ ერთი რეზონანსული საქმე ზურაბ ჟვანიას სასამართლო პროცესებია, სადაც კითხვა უკვე მთელი ინსტიტუტის, ნაფიცი მსაჯულების გამო გაჩნდა. შეფასებაც კრიტიკული იყო — ინსტიტუტი არ ამართლებს!

— ეს ჯერ ძალიან ახალი ინსტიტუტია ჩვენი რეალობისთვის. ალბათ, ჯერ საზოგადოებაც არაა ბოლომდე ინფორმირებული ამ ინსტიტუტის შესახებ. საპროცესო ხარვეზები აქაც უამრავია, ამიტომ, ამ ფონზე, ჩემი აზრით სწრაფი და კატეგორიული განცხადება არაგონივრულია. დღეს ვერავინ იტყვის, ამართლებს თუ არა ეს ინსტიტუტი.

— როგორ ფიქრობთ, სად იყო ხარვეზები, რა აჩვენა პრაქტიკამ, რამდენად მზად არიან დამოუკიდელი ადამიანები ასეთ განმარტებულ საქმეში მონაწილეობისთვის და რაზე მიუთითებს ორი მსაჯულის გასვლა ამ პროცესიდან?

— უამრავი ხარვეზი თავად ნაფიც მსაჯულთა შერჩევას უკავშირდება. დავინახეთ დროის გაჭიანურებას, მოქალაქეთა

ჩართულობისა და მათი პასუხისმგებლობის ხარისხის, ასევე რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები, დაცულობის ხარისხი, რაც ვერდიქტის დამდგენი მსაჯულების უსაფრთხოებას უკავშირდება. კატეგორიულად მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: ამ ინსტიტუტის გასაუმჯობესებლად კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, უფლება არ მაქვს, მოქმედ ინსტიტუტზე პოზიცია დავაფიქსირო, ჩემი ვალდებულება მის ეფექტურ ფუნქციონირებაზე ზრუნვაა. ფაქტია, ეს სახელმწიფოსთან თანამშრომლობის კარგი ფორმატია. ნებისმიერ 18 წელს მიღწეულ პირს აკისრია ვალდებულება, სახელმწიფოსთან ითანამშრომლოს. ეს ის ფორმატია, რაც ყველამ ერთად ავირჩიეთ. სხვა საკითხია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურები: ერთ დღეს ყველა მზად უნდა იყოს, რომ სასამართლოს წარმომადგენელი წერილს ჩააბარებს, რათა ნაფიცი მსაჯულობის პროცედურებისთვის მოემზადოს. სახელმწიფოს ვალდებულება კი ისაა, პროცესი მოქალაქეებისთვის კომფორტული გაეხადოთ და ეს ადამიანები გარეუბროქმედებისგან დავიცვათ. ამ მხრივ, კანონმდებლობაც დასაბუთებულია. ნაფიცი მსაჯულები საზოგადოებრივი აზრისა და მედიაში გამოხატული პოზიციებისგან შორის უნდა იყვნენ, რათა მათზე რამემ გავლენა არ მოახდინოს. ეს ის პროცესია, რომელსაც ზოგ ქვეყანაში საუკუნეები დასჭირდა, ჩვენ კი ყველაფერი ახლა დავიწყეთ. რაც შეეხება კონკრეტულ საქმეზე ორი მსაჯულის გამოკვლევას, მათ საქმის აცილებისა და თვითაცილების საპროცესო გარანტია აქვთ.

— შეიძლება, ამ ინსტიტუტის გაუქმების საჭიროება დადგეს?

— 2009 წლამდე საპროცესო კანონმდებლობის სხვა მოდელი გვექნა. 2005 წლის შემდეგ დაიწყო ინკვიზიციური დეტალებით სახსე მოდელის გადახედვა, რაც მოსამართლეების როლის გააქტიურებას ისახავდა მიზნად. უკვე 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსით, პროცესებზე შევიზრებოთობის ე.წ. ქართული მოდელი მივიღეთ. ამიტომ ესაა პასუხი თქვენს კითხვაზე — რატომაც არა, შეიძლება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტიც გაუქმდეს, ოღონდ ამას კარგი ანალიზი და განსჯა სჭირდება, რადგან მსგავსი ცვლილებები ადამიანებსაც ცვლის და მათ ემოქალაქური მნიშვნელობა აქვს. შესაძლოა, პოლიტიკაში სისწრაფე გამართლებულია, მაგრამ მართლმსაჯულებაში სისწრაფე მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უკანონო გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებების დარღვევას დავუშვებთ!

— უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ცვლილებებზეც ვისაუბრობ. რა ეტაპზეა დაიბრუნებული რეფორმები, კონკრეტულად რა იცვლება და როგორ პასუხობთ მთავარ გამოწვევას — წლების განმავლობაში, უზენაეს სასამართლოში შესულ თითქმის ყველა საჩივარს ხომ დაუშვებლად სცნობდნენ და არც განიხილავდნენ?

— რეფორმების დოკუმენტი უკვე საქართველოს პარლამენტშია და ახლა პროცედურების დაწყებას ველით, რათა საკითხი განხილვის რეჟიმში გადავიდეს. 2006 წელს შემოტანილმა ნორმამ, საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმების პრაქტიკულმა გამოყენებამ ბევრი კითხვა და უკმაყოფილება გააჩინა. მართლაც, საჩივრების უდიდესი ნაწილი არც განიხილებოდა ისე, რომ სასამართლო მისი დაუშვებლობის მიზეზებსაც არ განმარტავდა. ცვლილებათა პაკეტი აქცენტი სწორედ ამ პრობლემაზე, საკასაციო ინსტანციაში საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმებზე გაკეთდა. საკასაციოში საჩივრის შეტანის დროს, შემომტანი, ანუ



კასატორი ვალდებულია, საჩივარი დაასაბუთოს და თუ საჭიროა, საერთაშორისო პრეცედენტებიც მიუთითოს. ამით ამაღლდა საჩივრის დასაბუთების სტანდარტი.

— ასე ხომ საჩივრების რაოდენობა, უბრალოდ, შემცირდება, თავად სასამართლო როგორ აგვარებს საჩივრების არგანხილვის პრობლემას?

— ამ ცვლილებაში თავის არიდების პოზიცია კი არა, მხარის პასუხისმგებლობის ამაღლების სურვილი დევს. მეორე მხრივ, სასამართლოს მოუწევს საჩივრის მიღების შემთხვევაში, იგი მაღალი სტანდარტით განიხილოს, მიუღებლობის შემთხვევაში კი უარის მოტვივი განმარტოს და დაასაბუთოს. დადებით ტენდენციას უკვე შეინიშნება სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც საჩივრის დაუშვებლობის შემთხვევაში, განმარტებების გაკეთების პრაქტიკა მკვიდრდება. ასე საზოგადოების კრიტიკასაც ავირიდებთ თავიდან, კასატორის პასუხისმგებლობაც გაიზრდება და ეს არ იქნება მხოლოდ ფორმალური გასაჩივრება. ასევე,

ყველაზე დიდი გამოწვევაა არასრულწლოვანთა კოდექსის ამოქმედება, რომლის მიხედვით, საკასაციო ინსტანციას ყველა საქმის განხილვა ევალება, დასაშვებობის კრიტერიუმის გარეშე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. ეს არასრულწლოვანთა ინტერესებზე სწორად მორგებული სტანდარტია. გარდა ამისა, ჩვენი მოსამართლეების რაოდენობა 16-დან 28-მდე იზრდება, რაც მოსამართლის ერთი კოლეგიიდან მეორეში გადაყვანის საჭიროებას გააქრობს.

— ბოლოს, მედიაში განვითარებულ მოვლენებზეც ვკითხავთ, რასაც ბევრი ექსპერტი წინასაარჩევნო ზენოლად აფასებს. რას ფიქრობთ ამ თემაზე და თქვენი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია როგორია „რუსთავი 2-სა“ და „მაცსტროს“ გარშემო არსებულ სამართლებრივ დავაზე?

— როცა მოვლენებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადმოსახედიდან ვუყურებ, ჩემი მოთხოვნაა, სასამართლო მედიისგან ინფორმირებული იყოს. ჩვენ კრიტიკაც უნდა ვითმინოთ და მედიის მთავარი მიზანიც უნდა იყოს — სასამართლო უნდა იყოს ღია და ეჭვების საფუძველს არ ტოვებდეს. გასაგებია, ხშირად გჭირდებათ დეტალური ინფორმაცია და თუ სასამართლოს არ აქვს დრო ან სურვილი ამისთვის, ძალიან ცუდია. რაც შეეხება ამ ორი კონკრეტული ტელევიზიის საკითხს და მათ სასამართლო პროცესებს, ვერ გიპასუხებთ, რადგან ჩემგან რაიმე კონკრეტულის თქმა, შესაძლოა, ამ ორი პროცესის დამაზიანებელი იყოს და მასზე გავლენა იქონიოს.

პერსონალი

ბელაქოპანიანი „მაცსტრო“ შესაქლოა გაკოტრებულად გამოცხადდეს



გადახდის უუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადებას ითხოვს. გია გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ კომპანიაში პარტნიორთა კრება ჩატარდა, სადაც ერთ-ერთმა მენილემ, მაკა ასათიანმა მისგან აღებული კრედიტების დაუყოვნებლივ დაფარვა მოითხოვა, რის შემდეგაც პარტნიორებმა გადაწყვიტეს, რომ გაკოტრების შესახებ საქმე დაიწყოს. აღნიშნულ პოზიციას არ ეთანხმება თავად გია გაჩეჩილაძე: „შევთავაზე მათ რეაბილიტაციის გეგმა, თუმცა, როგორც თქვენ გაიგეთ, მეც დღეს გავიგე, რომ შეიტანეს სასამართლოში განცხადება გაკოტრებაზე. საბოლოოდ, ბოლომდე ვაპირებ ბრძოლას, რომ ეს არ მოხდეს. „მაცსტროს“ გაკოტრება არ შეიძლება იმიტომ, რომ ამ ტელევიზიაში სისხლი და ხორცი მაქვს ჩანთხეული. ვერაფრით დაუშვებ, უცხოების ხელში აღმოჩნდეს ტელევიზია“.

ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, „მაცსტროს“ დირექტორი ტელეკომპანიის გაკოტრებულად გამოცხადებას ითხოვს. ამ ინფორმაციას, „იმედის“ ცნობით, არხის ერთ-ერთი მენილე გიორგი გაჩეჩილაძე ავრცელებს. გაჩეჩილაძის თქმით, „მაცსტროს“ დირექტორმა ბაია გადაბაძემ საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა, რომლითაც ის ტელეკომპანიის

„მაცსტროსთან“ დაკავშირებით განცხადება გაავრცელა შპს „სტუდია მაცსტროს“ პარტნიორმა, 25%-იანი წილის მფლობელმა მაკა ასათიანმა. მისი მტკიცებით, შპს „სტუდია მაცსტროს“ ერთ-ერთი პარტნიორის განცხადება, მოულოდნელობაზე ან/და ტელეკომპანიის მიზანმიმართულ გაკოტრებაზე, არის გაუგებარი, მცდარი და საზოგადოების შეცდომაში შემყვანი: „როგორც ცნობილია, შპს „სტუდია მაცსტროს“ მენეჯმენტმა მიმართა სასამართლოს გადახდის უუნარობის და გაკოტრების მოთხოვნით. ჩემთვის და ასევე კომპანიის ყველა პარტნიორისათვის, წინასწარ ცნობილი იყო, რომ მოცემულ შემთხვევაში ასეთი მიმართვა არ წარმოადგენდა კომპანიის დირექტორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, არამედ, ეს გახლდათ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი, აუცილებელი ვალდებულება, რომლის დარღვევა იწვევდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამდენად, შპს „სტუდია მაცსტროს“ ერთ-ერთი პარტნიორის განცხადება მოულოდნელობაზე ან/და ტელეკომპანიის მიზანმიმართულ გაკოტრებაზე, არის გაუგებარი, მცდარი და საზოგადოების შეცდომაში შემყვანი. სამწუხაროა ისიც, რომ ეს განცხადება შპს „სტუდია მაცსტროს“ პარტნიორმა გააკეთა კონკურენტი ტელეკომპანიების ეთერის საშუალებით. ასევე, მას არ შემოუთავაზებია პარტნიორებისა და მენეჯმენტისათვის რაიმე კონკრეტული და რეალისტური გეგმა. ვაფასებთ თითოეული პარტნიორის წვლილს „ტელემაქსტროს“ განვითარებაში, მაგრამ ვფიქრობთ, ეს არავის აძლევს უფლებას მოხდეს კანონის და სამართლებრივი პროცედურების იგნორირება“. მაკა ასათიანი დარწმუნებულია, რომ ტელეკომპანია „მაცსტროს“ არც მიმდინარე და არც სამომავლო ფუნქციონირებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება: „მიმდინარეობს ძალზე ჩვეულებრივი, აუცილებელი სამართლებრივი პროცედურა და ყველას ვთხოვ, თავი შეიკავონ უსაფუძვლო განცხადებების გაკეთებისაგან“.

„პირველი“

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

2012 წლამდე, სახელმწიფო სუბსიდიის ჩათვლით, 1 კგ რქანითვის საშუალო ფასი 0.45 ლარი, ხოლო 1 კგ საფერავის — 0.60 ლარი იყო. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, რქანიული 1 ლარი, ხოლო საფერავი 1.80 ლარი გახდა. სუბსიდირებას ნაციონალური მოძრაობაც ახორციელებდა. მეტიც მიხეილ სააკაშვილს რთვლის გენერლებიც ჰყავდა, ხან ირაკლი ოქრუაშვილის, ხან დავით კეზერაშვილის, ხან ზურაბ ადგიშვილისა და ხანაც ვანო მერაბიშვილის სახით. არადა, სუბსიდირებას დროებითი ეკონომიკური ეფექტი უნდა ჰქონდეს, არ შეიძლება, სოფლის მეურნეობის ესა თუ ის დარგი სახელმწიფო ბიუჯეტის ძუძუზე იყოს. ქართული ოცნების წარმომადგენლებისა და ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო შეცდომა, სწორედ ყურძნის პოლიტიკური ფასი იყო, როდესაც სხვადასხვა გამოსვლისას, დაუფარავად აცხადებდნენ, რომ 1 კგ. ყურძენი 1 ლარზე ნაკლები არ უნდა ღირებულყო. არადა, დემოკრატიის მთავარი მონაპოვარი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა, რომლის პირობებშიც, ფასს ბაზარი განსაზღვრავს და არა ხელისუფლება. ამ ფონზე, კახელი გლეხების საპროტესტო აქციები სულაც არ არის გამაღიზიანებელი, ისინი ზუსტად იმას ითხოვენ, რასაც ხელისუფლება 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში პირდებოდა. დღეს კახელი გლეხები 1 კგ რქანითვის 60-65 თეთრად ჩაბარებას აპროტესტებენ და ისევ 1 ლარს ითხოვენ, რეალურად კი რქანითვის მოყვანა ბევრად ნაკლები ჯდება.

სუბსიდირება — კახელი გლეხის ხმა არჩევნებზე

ლენის ეროვნულმა სააგენტომ, წლების მიხედვით, 1 კგ ყურძნის საშუალო ფასი გამოაქვეყნა. ოფიციალური სტატისტიკით, 1 კგ ყურძნის საშუალო ფასი, სუბსიდიის ჩათვლით, ასეთი იყო: 2008 წელს, საფერავი — 0.65 ლარი, რქანიული — 0.45 ლარი, 2009 წელს, საფერავი — 0.65 ლარი, რქანიული — 0.50 ლარი, 2010 წელს, საფერავი — 0.65 ლარი, რქანიული — 0.60 ლარი, 2011 წელს — საფერავი — 0.65 ლარი, რქანიული — 0.75 ლარი, 2012 წელს — საფერავი — 1 ლარი, რქანიული — 1 ლარი, 2013 წელს, საფერავი — 1.80 ლარი, რქანიული — 1 ლარი, 2014 წელს, საფერავი — 2.50 ლარი, რქანიული — 1.05 ლარი. ამ სტატისტიკის მიხედვით აშკარაა, რომ 2012 წლიდან საფერავისა და რქანიულის ფასმა საგრძობლად მოიმატა. მართალია, „რთველი 2012“ ისევ ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა და ყურძნის სუბსიდირებაც გაზარდა (1 ოქტომბრის არჩევნებში ხმების მიღების მიზნით), მაგრამ არჩევნები ნააგო და სუბსიდირების ესტაფეტა უკვე „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა. შესაბამისად, 2013 წლიდან, საფერავისა და რქანიულის ფასი საგრძობლად გაიზარდა, რასაც ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგრამამაც შეუერთა ხელი. ეკონომიკის ექსპერტების შეფასებით, სწორედ ეს წინასაარჩევნო ლოზუნგი-დაპირებები იყო უდიდესი შეცდომა, რამაც კახელი გლეხებიც დააბნია და ლენის ქარხნების მფლობელებიც. მარტივი ჭეშმარიტებაა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნებისმიერი პროდუქტის ფასს ბაზარი არეგულირებს და არა მთავრობა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასები მხოლოდ საბჭოთა ფორმაციის მახინჯი პრაქტიკა იყო, რაც თავისუფალ ეკონომიკურ სისტემას ანგრევს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე რომან გოცირიძე, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ყურძნის სუბსიდირებით, ხელისუფლება მოსახლეობის პირდაპირ მოსყიდვას ცდილობს. მისი თქმით, მთავრობას კახელი გლეხის ბედი კი არ ალერსებს, არჩევნებში მისი ხმა სჭირდება:

„სუბსიდირება საკმაოდ მახინჯი ფორმაა, რომელიც ეკონომიკას ცუდ სიგანალებს აძლევს. მეღვინეებს აიძულებს, რუსეთის ბაზრებზე იფორონ და ფაქტობრივად, არასწორ მოლოდინს უჩენს, როგორც დანახარჯსა და მოგებაზე, ასევე — კონკურენტუნარიანობაზეც. ამიტომ სუბსიდირებამ არა მარტო გლეხები, არამედ — მეღვინეებიც დააბნია. რაც მთავარია, სუბსიდირება გლეხებისა და ქარხნებისთვის მხოლოდ ფულის ჩუქება კი არ არის, მას ირიბი სუბსიდირებაც ემატება, როდესაც მთავრობა ყიდულობს ყურძენს, რომელიც არავის სჭირდება და არასოდეს გაიყიდება, რადგან შესაბამისი ბაზარი არ არის.“

საბჭოთა პერიოდში, როდესაც ჭარბწარმოების კრიზისს ვსწავლობდით, სახელმძღვანელოებში ცილინდრიან კაპიტალისტებს გვიხატავდნენ, რომლებიც ხორბალს ზღვაში ყრიდნენ. ხალხისთვის რომ დაერიგებინათ, ხორბლის ფასი დაეცემოდა, არსებული ფასის შესანარჩუნებლად კი ჭარბ საქონელს ზღვაში ყრიდნენ. ზუსტად ასე იქცევა საქართველოს მთავრობაც, ყურძნის ფასი რომ მინიმუმამდე არ დაევიდეს, ყიდულობს ყურძენს და პირობითად, „ზღვაში ყრის“. ამ შემთხვევაში, ყურძნის გადაძვირებას ვგულისხმობ, რასაც კერძო სექტორის ნაცვლად, სახელმწიფო აკეთებს მისსავე კუთვნილ ქარხნებში და რისთვისაც დამატებითი თანხა იხარჯება. იმის თქმა მინდა, რომ ჭარბი რაოდენობის ყურძენს, რომელსაც სახელმწიფო ყიდულობს გლეხებისგან, ძმრად ან სპირტად

რა უნდა ღირდეს რეალურად 1 კგ ყურძენი

სუბსიდირება — მახინჯი ეკონომიკური სისტემა პოდიციკური ვაქრობისთვის!



გადაამუშავეს. საბოლოოდ რომ დავაჯამოთ, ამ სპირტის ღირებულება ორჯერ მეტია, ვიდრე საერთაშორისო ბაზარზე მისი რეალური ფასი. წლების შემდეგ, ამ სპირტს ვილაცას ნაკლებად მიყიდნან ან ბოლოს გვეტყვიან, აორთქლდნენ და ვერაფერს გაიგებ, რამდენი ტონა ყურძენი ჩააბარეს გლეხებმა რეალურად. სწორედ ესაა კორუფციის წყარო, რაც საბჭოთა ეკონომიკურ სისტემას ახასიათებდა, როცა სახელმწიფოს მიერ განეულ ხარჯებს ვერაფერს აკონტროლებდა“.

1 კგ ყურძნის რეალური ფასი

სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე, რა უნდა ღირდეს 1 კგ ყურძენი, უფრო ზუსტად, რა არის ყურძნის რეალური, საბაზრო ღირებულება? რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თუ ყურძნის ფასს მთავრობის მიერ დაწესებულ წინამატს (სუბსიდია) გამოვკლებთ და ხელისუფლება ყურძნის შესყიდვას არ განახორციელებს, 1 კგ თეთრი ყურძნის რეალური ფასი დაახლოებით, 15-20 თეთრი იქნება. ამ ციფრის მისაღებად, რომან გოცირიძემ 1 კგ ყურძნის საშუალო ფასს — 60 თეთრს 35-თეთრიანი სუბსიდირება და სახელმწიფოს მიერ ყურძნის შესყიდვის ეფექტი გამოაკლო. რაც შეეხება შავ ყურძენს, იგივე პრინციპით გამოთვლისას, 1 კგ-ზე 60-65 თეთრი მივიღებთ.

რომან გოცირიძე: „ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მევენახეობის დარგი მთლიანად გაკოტრებულია, რამაც მთავრობაა დამნაშავე. ესაა არასწორი აგრარული პოლიტიკის შედეგი, როდესაც შესაბამისი უკუგების გარეშე, ბიუჯეტიდან მილიარდები იხარჯება, როცა მთავრობა უაზრო სუბსიდირებას ახდენს ხვან-თესვით დაწყებული, ღვინის ქარხნების პირდაპირი დაფინანსებით დამთავრებული და ჭარბ პროდუქციას მხოლოდ საწყობისთვის ქმნის. ამ შემთხვევაში, მთავრობა დამნაშავეა რუსული ბაზრის იდეალიზებისა და ელემენტარული პროგნოზირების უნარის არქონის გამო. ხვალ ღვინის სუბსიდირებით მივიღებთ ხალხის უკმაყოფილებას, ზეგ — გაზის, მაზეგ — ციტრუსებისა და ვაშლის. ამასობაში წყლის ფასიც მომატებს, რადგან ლარის კურსს ვერ მიხედვს, ხოლო მთელი ენერჯია ეროვნულ ბანკთან ბრძოლასა და ფინანსური ძალაუფლების განმტკიცებას მოახმარებს. სუბსიდირება კი არა, ლამის ლასვევასივით ბათუმი აშენა წინა ხელისუფლებამ, მაგრამ არჩევნები მაინც წააგო! როცა მოსავლის მოყვანას სამთავრობო შტაბის შექმნა სჭირდება, იმ ქვეყნის ეკონომიკას არაფერი ეშველება. ვიდრე ტრადიციულ კოთხვას დავვამთ, რა გვეშველება, უმჯობესია შემოდგომამდე მოვიცადოთ, მერე გავიხედ-გამოვიხედოთ და თუ რთველში, ციტრუსების კრეფისას, ან სხვა სახის მოსავლის დაბინავებისას სამთავრობო შტაბს ვერ მოვკრავთ თვალს, ჩავთვალოთ, გვეშველა!“

„რთველი 2015“-ის მიმდინარეობისას, სექტემბრის შუა რიცხვებში, საქართველოს ღვინის კლუბისა და ღვინის საინფორმაციო ცენტრის ექსპერტებმა ვრცელი კვლევა გამოაქვეყნეს თემაზე, რა უჯდება კახეთის რეგიონში მევენახეს 1 ჰექტარი ვენახის მოვლა და მოსავლის აღება; რა რაოდენობის ყურძნის მოსავალს იღებს 1 ჰა ვენახზე მევენახე; რა არის 1 კგ საფერავისა და რქანიულის თვითღირებულება 2015 წლის სეზონზე?

ღვინის საინფორმაციო ცენტრის ექსპერტებმა აგვისტოს დასაწყისიდან, ადრეული რთვლის პერიოდში, კახეთის რეგიონის სამი მუნიციპალიტეტის — გურჯაანის, თელავისა და ახმეტის მევენახეები გამოკითხეს. კვლევა საკმაოდ ვრცელია, სადაც თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოკითხული, ცალკეული მევენახეების კუთვნილი ფართობების მოვლისა და ამ ფართობებზე გაშენებული საფერავისა თუ რქანიულის მოყვანის ხარჯები დეტალურადაა აღწერილი. თვალსაჩინოებისთვის, კვლევიდან მხოლოდ ერთ, კონკრეტულ მაგალითს მოვიყვანო:

„ზურა ვეფხვიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინანდალი: ვენახის მოვლის ხარჯი (0.5 ჰა) — 2 270 ლარი; ყურძნის ჯიში — რქანიული; მოსავლის მოცულობა (0.5 ჰა) — 6 500 კგ; ყურძნის ჯიში — საფერავი; მოსავლის მოცულობა — 5 000 კგ; 1 კგ. ყურძნის თვითღირებულება: რქანიული — 0.17 ლარი; საფერავი — 0.22 ლარი... დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ არაოგრანული

მევენახეობის პრაქტიკაში, 1 კგ რქანიულის ფასი 0.17 ლარიდან 0.43 ლარამდე, ხოლო 1 კგ საფერავი — 0.22 ლარიდან 0.65 ლარამდე მერყეობს. ორგანული მეთოდებით მოვლილ ვენახში 1 კგ რქანიულის ფასი 0.36 ლარიდან 0.74 ლარამდე იზრდება, ხოლო რაც შეეხება საფერავს, 1 კგ-ს თვითღირებულება 0.68 ლარია. ორგანული პრინციპებით დამუშავებული ვენახი შედარებით იოლი შესანახია, მაგრამ ვაცილებით ნაკლებმოსავლიანი. შესაბამისად, ყურძნის თვითღირებულება ასეთ შემთხვევებში, მაღალია. როგორც ჩანს, 2015 წელს, მევენახეობა-მეღვინეობის ბიზნესში მთავარ პრობლემას ყურძნის ფასი კი არა, მისი სიჭარბე ქმნის“.

რას ნიშნავს ოფიციალური სტატისტიკა?

მართალია, რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ შესყიდულ ყურძენს ძირითადად, სპირტად ამუშავებენ (ცალკეულ შემთხვევებში, ძმრადაც), რის გამოც ვერ გავაკონტროლებთ, რა რაოდენობის ყურძენი ჩააბარეს გლეხებმა, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ექსპერტის ამ შეფასებას არ იზიარებენ. მეტიც, სამინისტრო წლების მიხედვით, ოფიციალურ სტატისტიკას რთვლის დასრულებისთანავე აქვეყნებს. ამჯერად, „რთველი 2014“-ის ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედოთ:

„2014 წელს, მხოლოდ კახეთის რეგიონში, 117 369 ტონა ყურძენი დაიკრიფა, რაც 161 091 940 ლიტრი ღვინია. მოსახლეობის შემოსავლებმა კი რეკორდულ მაჩვენებლს — 155 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2014 წელს, მთლიანობაში 72 725 ტონა რქანიული მოიკრიფა, რაც 73 746 675 ლარის ღირებულების იყო; საფერავი — 40 005 ტონა, რომელიც 78 280 367 ლარის ღირებულების იყო; კახური მწვანე — 2 199 ტონა, ჯამში 2 723 674 ლარის; ყურძნის სხვა ჯიშები — 2 462 ტონა, რაც 6 341 224 ლარის ღირებულების იყო.“

ღვინის ეროვნული სააგენტოს ამ ოფიციალური სტატისტიკის გაცნობის შემდეგ, რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ესაა გასულ წელს გაუყიდავი ღვინო, რომლითაც ღვინის ქარხნების საცავებია გამოტენილი და რის გამოც, წელს ქარხნების ყურძნის ჩაბარებისგან თავს იკავებდნენ: „სამწუხაროდ, სახელმწიფომ გლეხიცა და მეღვინეც აიძულა, იმ რაოდენობის პროდუქტის ეწარმოებინა, რაც საწყობისთვის იქნებოდა გამიზნული. არადა, ვაცილებით მომგებიანი იქნებოდა, რომ სუბსიდირების ნაცვლად, მთავრობას ეს ფული წარმოებაში ჩაედო. ადრე ერთ-ერთ მინისტრს დასცინოდნენ, რომელსაც ბაყაყების წარმოება უნდოდა, თუმცა თუ ამ ბაყაყებს საზღვარგარეთ გაყიდო, სასაცილო ნამდვილად არ იქნება. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობამ ბაყაყების წარმოებაში სუბსიდირაცია ჩააღიძურა, მაგრამ მისი გასაღების ბაზარი არ აქვს. ღირებულებას კი შექმნის, მაგრამ ბაზრის გარეშე, უაზრო ყიყინის გარდა, რა ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას ბაყაყების წარმოება? ზუსტად იგივეა ყურძნის შემთხვევაშიც, როდესაც სუბსიდირებით, მთავრობამ ჭაობში მოყიყინე ღირებულება შექმნა. თუ ვინმეს ბაყაყების წარმოების მაგალითი ოდით უნდა ეჩვენება, კარგად ნაცნობი მაგალითით ავსხნათ, როდესაც მთავრობამ მანდარინის წარმოებას შეუწყო ხელი, რომლის ბაზარი არ არსებობს და რის გამოც მანდარინი ღებება. ყურძნის შემთხვევაში, მისი „ლპობის“ მავნე ეფექტი არ ჩანს, თორემ ზუსტად იგივეა, რაც ზედმეტი მანდარინების წარმოებისას, რომელსაც შავ ზღვაში ყრიან“.

რომან გოცირიძის თქმით, საკუთარი საარჩევნო მიზნებისთვის, სახელმწიფო ჩვენივე რესურსებს ფლანგავს და სუბსიდირებაზე კახელი გლეხის მუდმივ ბმას უწყობს ხელს. მისივე განცხადებით, სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს კახელი გლეხების მიმართ გულისწყრომა უჩნდება: „იმას ვგულისხმობ, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, კახელი გლეხების საპროტესტო აქციები მტკივნეულად აღიქვა. არადა, ამ გლეხების გულისტკივილი სწორი იყო, სამწუხაროდ, ისინი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამას ენდნენ, რომლითაც ხელისუფლება კახელებს მუდმივ სუბსიდირებას დაპირდა“.

„კახელ გლეხებს წინა ხელისუფლება მართავს...“

ინტერვიუ ახმეტის გამგებელთან

ბარო ტურაშვილი
598-47-87-14

ახმეტის რაიონის გამგებელი ბექა ბაიდაური კახეთში ყურძნის ფასის ირგვლივ ატეხილ აუციტაჟში ნაციონალურ მოძრაობას ადანაშაულებს და წინა ხელისუფლებას პროვოკაციულ ქმედებებში სდებს ბრალს. ბექა ბაიდაური „ვერსიასთან“ საუბრისას ასევე აღნიშნავს, რომ კახელი გლეხებს წინა ხელისუფლება მართავს.

— რამდენიმე კვირის წინ პანკისის ხეობაში მოვარდნილმა ღვარცოფმა და სეტყვამ ადგილობრივებს სახლები დაუზიანა. რა ხარჯები გაიღო გამგებამ და ხელისუფლებამ მათი რეაბილიტაციისთვის?

— სანამ პანკისის ხეობაში მოხდებოდა წარღვნა და სახლების სახურავებსა და გარკვეულ შენობებს დაზიანებდა, მანამდე უარესი თუ არა, მსგავსი სტიქია დაატყდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელს: ფიჩხოვანს, ქვემო ალვანს, მალრანს, ბაბანეურსა და არგოხს, სადაც პირველ ეტაპზე ზარალი დავთვალეთ; შემდეგ ინფორმაცია გადავუგ-

ზავნეთ რეგიონული განვითარების სამინისტროს, რომელმაც 200 000 ლარი გამოყო მასალების შესაძენად. გამოცხადდა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ ანარმოა გადახურვითი სამუშაოები. ახმეტის მუნიციპალიტეტიდან არანაირი თანხა არ დახარჯულა ამ სამუშაოებში, თითოეულმა ოჯახმა ზარალის შესაბამისად მიიღო კუთვნილი საჭირო მასალა.

— რა თანხა გამოყოფილი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის წლებიდან ბიუჯეტში და რა სამუშაოებსა თუ პროექტებს იხარჯება ის?

— ახმეტის მუნიციპალიტეტის წლებიდან ბიუჯეტი 10 მილიონ ლარია და ეს ფული, ძირითადად, იხარჯება ახმეტის რაიონში განხორციელებულ სამუშაოებსა და სხვადასხვა პროექტში. მუნიციპალიტეტს ასევე გამოწერილი აქვს ყოველწლიური თანხა სახელმწიფოდან. სოფლის პროექტების ბიუჯეტი ყოველწლიურად ერთი და იგივეა, სტიქიიდან გამომდინარე, შესაძლოა ბიუჯეტში ცვლილება მოხდეს, თუმცა ძირითადი ბიუჯეტი მაინც არ იცვლება. ამ სამუშაოებსა და პროექტებს ემატება გამგეობის თანამშრომლების ხელფასი, რაც წლიურ ბიუჯეტში შედის. წელს ასევე რეგიონული განვითარების სამინისტროდან გამოგვეყო 2 მილიონ 100 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისთვის, რაც ჯერ არ დასრულებულა. ასფალტს ვაგებთ ძირითადად ახმეტაში, უკვე დავაგებ-



სოფელ მატანში, პანკისის ხეობაში, კერძოდ, ომალოსა და არგოხში, სადაც გზის რეაბილიტაცია არ დასრულებულა. წელს პანკისის ხეობაში ასევე ჩავატარეთ ნაპირსამაგრი სამუშაოები, გაკეთდა სპორტდარბაზი და საბავშვო ბაღს ჩავუტარეთ რეაბილიტაცია.

— ახმეტის რაიონის მასშტაბით თუ იხსნება რაიმე ქარხნები ან სამრეწველო ფაბრიკები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს დასაქმებას?

— მოგეხსენებათ, უმუშევრობის პრობლემა არამარტო ახმეტის რაიონში, არამედ, ზოგადად, ქვეყანაში დგას. ჩვენს მიერ განხორციელებულ პროექტებში, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობა არიან დასაქმებული და ცხადია, ისინი გარკვეულ ანაზღაურებასაც იღებენ, რაც შემოსავლის ერთადერთი წყაროა. რაც შეეხება ქარხნებსა და ფაბრიკებს, ჯერჯერობით არც ერთის გახსნა არ იგეგმება, თუმცა არსებობს მინისანარმოები, სადაც მოსახლეობას შეუძლია დასაქმდეს. თუ ადამიანი შრომისუნარიანია, მშეიერი არასოდეს დარჩება.

— სოფელ მატანის რამდენიმე უბანს აქვს წყალმომარაგების პრობლემა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, წყალი, რომელსაც მოიხმარენ, სასმელად უვარგისია. ტარდება თუ არა სასმელი წყლის განმწმენდითი სამუშაოები და როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას, ზოგადად რაიონში?

— სასმელი წყლის ვარგისიანობა ნამდვილად არ არის ეჭვქვეშ დასაყენებელი. თუ გარკვეული დროის განმავლობაში ამღვრეული წყალი მოდიოდა, არ ნიშნავს, რომ ის უვარგისია. თუმცა, არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, წყლის მილი უზრალოდ დაზიანებული იყო იმ მომენტისათვის. წელს სოფელ მატანის მოსახლეობის ნაწილი დავაკმაყოფილეთ სასმელი წყლით და ეს პრობლემა უკვე გადავჭერით; წელს ასევე ხორციელდება მთლიანად ახმეტის რაიონის წყლის რეაბილიტაცია, რაც ორწლიან პროექტს მოიცავს და ჩემი ინფორმაციით, 8 მილიონი ლარი დაიხარჯება ამ სამუშაოებში.

— ახმეტის რაიონში რთველი ახლოვდება. ყურძნის ჩასაბარებელი ფასით უკმაყოფილო გლეხების პროტესტს ხომ არ ელით?

— რაც გურჯაანში ხდება, წმინდა პოლიტიკური პროცესია, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა მართავს ახმეტაში რთველი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მსგავსი პროცესების განვითარებას ნამდვილად არ ველი. მერწმუნეთ, რა ფასიც უნდა შესთავაზოთ გლეხს, საკმარისი არასოდეს იქნება. წლებიდანელი სუბსიდიის შარშანდელის იდენტური. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს წმინდა პოლიტიკური პროცესია ერთ მაგალითს ვატყვით — ყურძნის სუბსიდიის ხდება მხოლოდ კახეთში, არადა ყურძენი სხვა რეგიონებშიცაა. რა დააშავეს იქაურმა მევენახეებმა? გლეხი რომ გამოდის და ამბობს (უფრო სწორად, ატყმევინებენ), ხელისუფლებამ ერთ ლარად ჩაიბაროს ყურძენი, ეს წინა ხელისუფლების მიერ მართული პროცესია.

— როგორ შეაფასებთ თქვენი წინამორბედის მუშაობას ახმეტის რაიონში?

— წინამორბედზე რა ვილაპარაკო, არ ვიცი, მაგრამ წინა ხელისუფლებაზე შემიძლია ვილაპარაკო და იმაზე, აქ რა ვითარება დამხვდა. მუნიციპალიტეტში არანაირი შიდაგზა არ არსებობდა, არც გარეგანათების პრობლემა იყო მოგვარებული და არც წყლისა თუ მდინარეების ნაპირსამაგრიების ფაქტობრივად, კოლოსალური სამუშაო დამხვდა შესასრულებელი იმისთვის, რომ ამ ხალხის გაჭირვება, ასე თუ ისე, შემემსუბუქებინა. რაც ნაციონალური დროს გაკეთდა, უხარისხო იყო. მაგალითად ჩემს სოფელში, საკობიანოში გაკეთებული წყაროც გამოდგება, რომელმაც თვეც კი არ იმუშავა. რასაც აკეთებდნენ, აკეთებდნენ უხარისხოდ და თან ხალხს არც სჭირდებოდა.

— ხალხისთვის მიცემული დაპირებები თქვენ რამდენად შეასრულეთ ერთ წელიწადში?

— რა დაპირებაც მივეცი, ვასრულებ პირნათლად. ხალხს დავპირდი, რომ ყოველთვის ვიქნები მათ გვერდით და ყოველთვის ვიქნები სიმართლის მხარეს. არასოდეს დაიჩაგრება სიმართლე. შემიძლია, ხალხის, მუნიციპალიტეტის და ქვეყნის კეთილდღეობისთვის დაქსიძალური გავილო და დაპირებებს 100%-ით ვასრულებ. ერთი ადამიანი ვერ მეტყვევს, რომ რამეს დავპირდი და არ შევასრულე. რა თქმა უნდა, ამისთვის საჭიროა ფინანსები. ამიტომ ყოველთვის ვამბობ, რომ ყველაფერს შევასრულებ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში.

პანკის გარეშით და საპროტესტო აქციებით ახმეტის რაიონის გლეხები იბუჩკებიან

„ცხოვრება გაძვირდა, გაბარდონ ყურძნის ფასიც!“

ბარო ტურაშვილი
598-47-87-14

ახმეტის რაიონში რთველი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ გურჯაანელების პრობლემების ფონზე, გლეხები აქაც გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ამბობენ, რომ ჩასაბარებელი ყურძნის ფასი — 60 თეთრი, მათთვისაც მიუღებელია. „ვერსია“ გათავაზობს რამდენიმე მათგანის მოსაზრებას. ახმეტის მკვიდრი მევენახეები არ გამოირიცხავენ, რომ რთველი მათ რაიონშიც საპროტესტო აქციებისა და გლეხების აჯანყების ფონზე ჩაივლის.



ჩააბაროს ყურძენი. ამ ხელისუფლებასაც აღარ აირჩევენ, რადგან არაფერი კეთდება. თვითონ 15 და 20-ათასლარიან ხელფასებს იღებენ, კარგა ჭამენ და კარგა სვამენ... ჩვენ კი... ხმელ პურზე ვართ და ბევრს შეიძლება, ისიც არ ჰქონდეს“.

სხვა გლეხების მსგავსად შოთა (ბურამ) მამუჩარაშვილიც უკმაყოფილოა და არც ის გამოირიცხავს, მასობრივ საპროტესტო აქციებს: „წინა წელს ერთ კილო ყურძენში 1 ლარი გადამიხადეს. 1200 კილო ყურძენი ჩავაბარე და 2 ტონამდე სახლში დავწურე. 60 თეთრად ყურძენს არ ჩავაბარებ, რადგან საუკეთესო ყურძენი მოიხსნა წელს ვენახმა. მე შემიძლია ყურძნის ჭაჭისგან არაფერი გამოვხადო და აქედანაც ვნახო სარგებელი. შემოთავაზებულ ფასად ყურძენი რომ ჩავაბარო, განუულ ხარჯსაც ვერ ამოვიღებ და მოგებასაც საერთოდ ვერ ვნახავ. 5 000 კვ.მეტრზე მაქვს ვენახი გაშენებული. ერთ კილო ნამალში ვაძლევდი 20 ლარს. თუ ნამლის ფასი 2-3 ლარით გაზარდეს, ყურძენიც გააძვირონ მაშინ. ვენახისთვის რომ მომეყოლო, ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე, რომელიც ჯერ არც დამიფარავს. მარნების მეპატრონეები რომ ამბობენ, ღვინო ვერ გავასაღეთო, სპირტავენ და თავისთავად აღარ ყავთ კლიენტი. გურჯაანის რაიონის მსგავსად, თუკი აჯანყდებიან ახმეტის რაიონშიც, გავალ და მეც მათ გვერდით დავდგები. ძალიანაც კარგი, გურჯაანელები აქციებს რომ აწყობენ“.

გლეხების უკმაყოფილებას უერთდება თამაზ ჯუგაშვილიც, რომელიც შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებას ადანაშაულებს: „ლარს ლარის ფასიც აღარ აქვს და ახლა 1 ლარიც რომ გადაიხადონ ყურძენში, არაფერს აანაზღაურებს. ორი ინფარქტი მაქვს გადატანილი და მაინც, თავს ვიკლავ შრომით. ნამლებისთვის არ კმარა ფული, ახლაც საყიდელი მაქვს მედიკამენტები, მაგრამ საშუალება არ მაქვს, ვიყიდო. გურჯაანელების მსგავსად ავდგები და ვენახს მეც ვაგვრებ, რადგან კახელი გლეხისა და მისი შრომის დაფასებას ვეღარც ვეღარც ვეღარც ვხედავ. ახლა აღარ ვაპირებ ქარხნებისათვის ყურძნის ჩაბარებას, რადგან მირჩევენია, კერძოდ გავყიდო. სოფლის მეურნეობის მინისტრი გამოდის და ამბობს, ვინ თქვა, გლეხს სამუშაო არ აქვს, წავიდეს და ატამს ფოთოლი გააცალოსო. მინისტრი მასწავლის, რა უნდა გავაკეთო?! ვფიქრობ, საქართველოში არამარტო კახელი გლეხები, დასავლეთის მაცხოვრებლებიც აჯანყდებიან, რადგან მათაც აქვთ ვენახები. მთავრობაა დამნაშავე — არაფერს აკეთებენ, რომ ამ გაჭირვებულმა ხალხმა ცოტა ამოისუნთქოს“.



80-იან წლებში ქუთაისში ერთი საქმოსნის შვილი მოკლეს. მკვლელობას მაშინ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი სტატუსი მიანიჭეს და მხოლოდ მოსკოვიდან ჩამოყვანილმა ადვოკატებმა გადაარჩინეს და მანაშავეები დახვედრეს. გოგონამ კარის ე.წ. გლაზოკში გაიხედა და სწორედ მაშინ ესროლეს — ტყვიამ 16 წლის ბავშვის თვალში გაიარა და თავის ქალა ახადა. დამნაშავეებმა სასამართლოზე დუმის უფლება გამოიყენეს, თუმცა მათ ნაცვლად ადვოკატმა ილაპარაკა. გარდაცვლილის ახლობლები მკვლელების ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ, ამიტომ სხდომები დახურული იყო. 15-წლიანი სასჯელი გასაჩივრდა, თუმცა დახვედრა არც ზემდგომმა ინსტანციამ მიუსაჯა...

კოტე მ-ს რუსთავის ზონაზე პატარა ავტონომია ჰქონდა. 70 წელს გადაცილებული მოხუცი იარაღზე დაიჭირეს. ქუთაისელები ამბობდნენ, იარაღი ჩაუდეს, უბრალოდ ძალიან დიდი ავტორიტეტი იყო, ახალგაზრდები მასთან იკრიბებოდნენ და უბანს მოაცილესო. სამი წელი მისცეს და რუსთავის №17 დანესებულებაში შემოაგდეს. ჰოდა, მოხუცები შეიკრიბნენ კამერაში. მათთან შესვლა და საუბარი კი ერთ რამედ ღირდა. დინჯად, დარბაისლურად საუბრობდნენ და მთავარი საზრუნავი ის ჰქონდათ, ჩაი ესვათ. შესაბამისად, ახალგაზრდა პატიმრებს მათთან ჩაი მუდმივად მიჰქონდათ. პატიმარი №0578 მათი ხშირი სტუმარი იყო, ათას რამეს მოიმზებებდა და ხანდახან მთელი დღე მათთან იჯდა.

ერთ დღეს ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოვიდა და რაღაც თქმა უნდა, მაყურებლების კამერაში ჩოჩქოლი იყო. ვინ სად და როგორ უნდა წასულიყო, იმას არკვევდნენ მაყურებლები, როცა მათ კამერაში ჯოხზე დაყრდნობილი კოტემ შემოიხედა. იქაურობას მოავლო თვალი, უცხო ხალხი რომ დაინახა, ჩუმად თქვა, მაყურებლებთან მარტო დამტოვეთო და ნარზე ჩამოჯდა. №0578-ს კამერადან გასვლა არც უფიქრია, ჯერ ერთი, კოტესთან ძალიან ახლოს იყო და მეორეც — მაყურებლები არასოდეს ეტყოდნენ, ვაი, შენ არ მოისმინო. მისი დარჩენა არც კოტეს გაუპროტესტებია, არც მაყურებლებს და მოხუცმა ჩუმად დაიწყო... „ახალ პატიმრებში ერთი პატარა ბიჭია, რომ მოიყვანეს, პირველად მე მიკითხა და ისე მიყურებს, რაღაც უნდა. ამ სიბერეში ბავშვს ნულარ მომაკვლევიანებო, დაელაპარაკეთ, აუხსენით“, — თითქოს თავის-თვის თქვა კოტემ და კამერადან გავიდა, კართან მოტრიალდა და... სერგო ჰქვია იმ ბიჭს, ასე მითხრესო...

დაახლოებით ათ წუთში სერგო მაყურებლების ოთახში იჯდა, ნერვიულად აბოლებდა და აშკარად ეტყობოდა, ასაკთან შედარებით მეტი ამბიცია ჰქონდა. მაყურებელმა თავის ხელით მოუდუღა ყავა, ორცხობილა დაუდო თეფშზე და მშვიდად ჰკითხა: „ვინ ხარ, ძმაო, რა ცხოვრებით ცხოვრობ?!”

„კაი ბიჭი ვარ, ქურდობა მინდა...“ — გაზეპირებული ფრაზა ისროლა სერგომ და კამერაში სიჩუმე №0578-ს თავშეკავებული სიცილმა დაარღვია. მაყურებელმა პატიმარს მკაცრად შეხედა და იმანაც მაქსიმალურად თავი შეიკავა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, სხვებიც სიცილის ხასიათზე იყვნენ.

„ეგ კარგია, კარგები რაც მეტი ვიქნებით, მით უკეთესი... რა უბნელი ხარ?!” — ისევ მშვიდად ჰკითხა მაყურებელმა.

„საფიჩხიელი“, — ამაყად გამოაცხადა სერგომ და მაყურებელმა გაოცებით შეხედა: „საფიჩხიელი ხარ და ამ კამერაში არავის იცნობ?!”

სერგომ მიმოიხედა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

„სად ცხოვრობ კონკრეტულად?!” — უსაშველო ქუთაისური აქცენტით მიმართა საფიჩხიელმა დათომ სერგოს. დათო ქუთაისის რეგიონის მაყურებელი იყო და მარტო ქუთაისი კი არა, ყველა კრიმინალი კარგად იცნობდა.

სერგო დათოს დააკვირდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო და...

„გიცნობ შენ, თეკლეს ძმა ხარ“, — სახე გაუბრწყინდა სერგოს.

„ა ბიჭო, ერთი ამნაირი კიდე და წავიდა ჩემი ნაღვანი და ნაპარავი წყალში. თეკლეს ძმობის მეტი არაფერი იცი ჩემზე?!” — იწყინდა დათომ და სერგოს მეორე მხრიდან მიუჯდა.

„კი, ნარკომანია, უბანში ამბობენ“, — გათამამდა სერგო. უკვე №0578 კი არა, მთელი კამერა ახარხარდა დათოს გარდა.

„კიდე რას ამბობენ უბანში, მომიყვი, აბა“, — დაინტერესდა მაყურებელი.

„არ ვიცი“, — შეცბა სერგო, რადგან მიხვდა, ერთბაშად რამდენიმე სისულელე თქვა.

„კარგი, უბნის ამბებს თავად გავარკვევ, რომ ჩავალ და ახლა ის მითხარი, კოტეს რას ერჩი?!” — კოტეს ხსენებაზე ყველამ სერიოზული სახე მიიღო, სერგო კი აშკარად ანერვიულდა.

„ბიცოლა მომიკლა მაგან და პასუხი უნდა აგოს“, — მტკიცედ თქვა სერგომ.

„ვინ მოგიკლა?!” — ჰკითხა №0578-მა, მაგრამ დათომ ხელით ანიშნა, მაცადეო.

„ვინ იყო შენი ბიცოლა და რა იცი, რომ კოტემ მოკლა?!” — ჩუმად ჰკითხა სერგოს.

„ვიცი. „გლაზოკიდან“ ესროლა. მაშინ დაბადებული არ ვიყავი მე, მაგრამ მაგი ამბობს მე კი არა, მთელმა ქუთაისმა იცის“, — სერგო ისევ მტკიცედ ლაპარაკობდა.

„ანუ შენ მერაბას შვილიშვილი ხარ?!” — ისევ ჰკითხა დათომ და როცა სერგომ თავი დაიქნია, მაყურებლებს ახედა. ცოტა ხანს სიჩუმე იყო, მერე ისევ დათომ დაიწყო.

„მესმის შენი, მაგრამ ეგ საქმე გაირჩა ქურდებთან თავის დროზე და კოტეს არაფერი უთხრეს. ახლა შენ თუ გინდა ქურდების სიტყვას გადახვიდე, მაგის უფლებას არ მოგცემ და მარტო მე კი არა, ჩვენი, ყველა. თუ პირადი შურისძიება გინდოდა, გარეთ იყო კოტე, არ იყო მაგის ნახვა ძნელი და იქ გემოქმედა. ახლა ან მშვიდად იქნები, ან სხვა ზონაზე წაი, კოტეს ნახვა თუ არ გინდა ყოველდღე“, — აუხსნა დათომ.

საზარელი გეგმობა „გლაზოკიდან“

მამის ნაცვად მოკლული 16 წლის გოგონა და თითმოქრიდი მკვლელი



„ქურდებმა ხო, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო...“ — დაიწყო სერგომ და სილაც მოხვდა.

„რა სხვა დრო? მაშინ რომ ქურდები იყვნენ, ახლა აღარ ჭრის იმათი სიტყვა თუ გასაჩივრებას აპირებ? სიტყვებს აზრი დაატანე, თორემ ყოველდღე გაგლაზავენ პატიმრები. აქ რომ გაგიცინეს წელად, კაციჭამიები არიან, იცოდე“, — მკაცრად უთხრა დათომ სერგოს და კამერადან გაუშვა.

„კოტეს თუ კაცი ჰყავდა მოკლული, არ მეგონა“, — თავის-თვის ჩაილაპარაკა №0578-მა.

„კაცი არა, ქალი... უფრო სწორედ, გოგო“, — ჩუმად თქვა დათომ.

რამდენიმე დღის შემდეგ №0578 რაც შეიძლება ფრთხილად შეეხო თემას. კოტესთან იყო კამერაში და ძალიან, ძალიან ფრთხილად ჰკითხა, სერგოს ბიცოლა როგორ შემოგაკვდაო?! კოტეს თითქოს დენმა დაარტყა, №0578-ს შეხედა, ჩაი მოწრუპა და ნართმული ხმით დაიწყო.

„მეტი ერქვა იმ უბედურს. მამამისი საქმოსანი იყო და ფულს ვანერდით ხოლმე. ერთ დღესაც გამოგვიცხადა, აღარ გადაგვიდითო და მასთან მისულ ქურდებს იარაღი მიუშვირ. ეს სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. მითხრეს, შენ უნდა მოკლაო და წავედი. სახლის კარს არ აღებდა ხოლმე და გარეთაც თითქმის არ გამოდიოდა. დაველოდე, სანამ მარტო დარჩებოდა სახლში და ბოლოს სწორედ ის უბედური გოგო

გამოვიდა. ამ დროს ეზოში მილიციის მანქანა შემოვიდა და მე ჩემს მანქანაში ჩავსვი. სახლში რაღაც დარჩენია იმ ბავშვს და მობრუნებულა. მე ვერ დავინახე. მილიცია მალე წავიდა და მეც კიბეები ავირბინე. კარზე დავაკაკუნე და როგორც კი მივხვდი, „გლაზოკში“ ვილაცამ გამოიხედა, გავისროლე. დაცემის ყრუ ხმა გავიგე და კიბეზე რომ დავევი, მაშინ გავიგე იმ კაცის ღრიალი. ჯერ ვიფიქრე, გადარჩა-მეთქი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა, კარს არ გააღებდა და რაც მთავარია, ისე ღრიალებდა, მეზობლები გამოვიდოდნენ. კიბეზე ნაცნობი შემეფეთა, დამინახა, იარაღიანი რომ გავრბოდი და იმავე საღამოს ამიყვანეს. გამომიძებლებმა მითხრეს, რომ გოგო მოვკალი. ადვოკატი ქურდებმა ამიყვანეს, ფულიც იმათ გადაიხადეს, რომ არ დავეხვრიტე, მაგრამ მე აკერ, საჩვენებელი თითი მოვიჭერი, რომ იარაღს ვერასოდეს გამოვკრა“, — კოტემ სახსარში მოჭრილ თითს დახედა.

„ის კაცი ცოცხალია?!” — ჩუმად ჰკითხა №0578-მა.

„არა, მალევე მოკვდა. ამბობენ, ვილაცამ მონამლაო. არ ვიცი, მაგ დროს მე რუსეთში ვიჯექი, აქ არ მომხდევინეს სასჯელი, ამიტომ, სრული 15 წელი გამომივიდა, არც ჯაბას ანის-ტია შემეხო და არც სხვა რამ. თუმცა კიდე 15-ს მოვიხდიდი, ოღონდ ის გოგო ცოცხალი იყო“, — თავი ჩალუნა კოტემ.

სხვათა შორის, „კაი ბიჭი“ სერგო, თბილისში ცხოვრობს და ტაქსაობს, კოტე მ. კი მარტში გარდაიცვალა.

პერსონაჟი საქართველოში უსტონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იყოფა



„ესტონეთის შეიარაღებული ძალები ჩვენი შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია. ინტენსიური და მჭიდრო კომუნიკაცია ემსახურება ჩვენი შეიარაღებული ძალების ეფექტიანობის ზრდას, ნატო-სთან თავსებადობის მაქსიმალური ნიშნულის მიღწევას. ამავდროულად, ბუნებრივია, როდესაც მეგობარი ქვეყნის მთავარი სამხედრო გყავს ქვეყანაში სტუმრად, იქ სხვა პოლიტიკურ თემებზეც არის საუბარი. საქართველოს ყველაზე დიდი მხარდაჭერა ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან აქვს და განხორციელებული ვიზიტი, როგორც ჩვენი, ისე მათი მხრიდან, სწორედ, ამ მეგობრობასა და პარტნიორობას ადასტურებს“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ესტონეთის ჩართულობა დადებითად შეაფასა. გენერალური შტაბის უფროსმა ესტონურ მხარეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე განუხილეს მხარდაჭერისთვის და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრის შემდეგ ესტონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

ვიზიტის ფარგლებში ესტონეთის დელეგაცია ხვალ ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისს“, დავით აღმაშენებლის ეროვნულ თავდაცვის აკადემიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსსტც „დელტას“ ესტუმრა. მან ვაზიანის ბრიგადაც მოინახულა. დელეგაციის წევრებმა IV მექანიზირებული ბრიგადის ხელმძღვანელობისგან ქვედანაყოფის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. ვაზიანში ესტონელ სტუმრებს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის შესახებაც მიანოდეს ინფორმაცია. ესტონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვირტუალური სიმულაციური სწავლების ცენტრი დაათვალიერა და საჩვენებელ მეცადინეობას დაესწრო. მოგვიანებით სტუმრებმა სპორტული დარბაზიც მოინახულეს და IV მექანიზირებული ბრიგადის შეიარაღებას გაეცნენ.

ოფიციალური ვიზიტი დღეს, 23 სექტემბერს დასრულდება.

ლევან გვაზავა კომდან გაემოვიდა

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან გვაზავა კომდან რამდენიმე დღეა გამოვიდა და თავს უკეთ გრძნობს, — აცხადებს ლევან გვაზავას ადვოკატი დარეჯან გილაშვილი. მისივე თქმით, იგი გვაზავას არ შეხვედრია, რადგან ძალების აღდგენას დრო სჭირდება. ამ ეტაპზე სახეზე ჩატარებულმა ოპერაციებმა წარმატებით ჩაიარა. შემდგომში, სავარაუდოდ, მას რეაბილიტაცია დასჭირდება. ადვოკატს ინფორმაცია არ აქვს, როდის აპირებენ სამართალდამცველები, საქმის დეტალები ლევან გვაზავას გააცნონ. საქმე ეხება 28 აგვისტოს მომხდარ ფაქტს, როცა ილია ქერტყოევი, ლევან გვაზავა, რევაზ კალომღენაძე და გურამ თათელაძე, ილია ქერტყოევის მართვის ქვეშ მყოფი Mercedes ML-ის მარკის ავტომანქანით სოფელ პანტიანთან თბილისში ბრუნდებოდნენ. პროკურატურის ინფორმაციით, ავტომანქანის წინა სავარძლებზე ისხდნენ ილია ქერტყოევი და რევაზ კალომღენაძე, ხოლო უკან — ლევან გვაზავა და გურამ თათელაძე. გზაში ლევან გვაზავამ ამოიღო სავარაუდოდ შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული „გლოკის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი. გასროლის შედეგად სასიკვდილო დაზიანება მიიღო ლევან გვაზავას დეიდაშვილმა რევაზ კალომღენაძემ და შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდეგ ლევან გვაზავამ სავარაუდოდ მის ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღი მიიყენა თვითდაზიანება თავის არეში და 29 აგვისტოდან ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფებოდა

„ინტერპრესნიუსი“



შსს-მ ფარაქანიანი მამაკაცის ქუჩაში ხაზის ფაქტა საქმე აქძა

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოზე, სადაც ნაჩვენებია, როგორ უსწორდებიან ფიზიკურად რუსთაველის გამზირზე ფერადკანიანი მამაკაცს, შსს-მ შეტყობინება სამი დღის წინ მიიღო. როგორც შსს-ში აცხადებენ, საქმე უკვე აღიძრა, მანამდე კი, პოლიცია საქმეს სწავლობდა: „სამი დღის წინ მივიღეთ ამ ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება. შეტყობინების მიღებისთანავე პოლიციამ მოახდინა რეაგირება. დაინწყეთ განცხადების საფუძველზე რეაგირება, ფაქტის შესწავლა. საქმე 125-ე მუხლით უკვე აღიძრა“.

თბილისის ქუჩებში „ულტრანაციონალისტები“ რამდენიმე დღის წინ გამოჩნდნენ, რომლებიც ფერადკანიანებს ფიზიკურად უსწორდებიან. სოციალურ ქსელში ამის დამადასტურებელი ვიდეო გავრცელდა, სადაც ნაჩვენებია, როგორ უსწორდებიან ფიზიკურად რუსთაველის გამზირზე ფერადკანიან მამაკაცს.

როგორც ვიდეოს ავტორები აცხადებენ, „დინამოს“ ხუ-ლიგნური ფორმა ხშირად აწყობს მსგავს „განმედიტო საშუალებებს“.

„თბილისელი ხულიგნების სამიზნეს ძირითადად ზანგები წარმოადგენენ, მაგრამ წინააღმდეგობა არსებობს, ასევე, თურქებისა და არაბების მიმართ“, — აღნიშნულია ტექსტში, რომელიც ვიდეოს ახლავს.

„პირველი“

მდინარე მტკვარზე თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტი გამოავლინეს



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ-ცენტრალური სამმართველოს თანამშრომლებმა, ქარელის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტი გამოავლინეს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პრევენციული ღონისძიების გატარებისას, სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა, მტკვრიდან ავტომობილის 13 ცალი საბურავი ამოიღეს, რითაც სამართალდამრღვევები თევზს უკანონოდ მოიპოვებდნენ ახდენდნენ. უწყების ინფორმაციით: „მიმდინარეობს გარემოზე მიყენებული ზიანის დაანგარიშება. მასალები შემგდომი რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნება“.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველო კინოშოკის კინოფესტივალის ფოკუსში მოაქცა



კინოშოკის კინოფესტივალის ფოკუსში წელს საქართველო მოექცა. კინოცენტრის ინფორმაციით, ფესტივალის ანაპაში ჩატარდა. ერთადერთი ქართული ფილმი, რომელიც საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა იყო ლევან თუთბერიძის „ცხრა მთას იქით“, ფილმში შესრულებული როლისთვის ჟიურიმ ეკა მოლოდინაშვილი საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარა.

გარდა ამისა, ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა. ნაჩვენები იყო შემდეგი ფილმები: „ყველა ნავიდა“ — რეჟისორი გიორგი ფარაჯანოვი; „ნეტავ, იქ თვატრი არის?!“ — რეჟისორი ნანა ჯანელიძე; „მან-დარინები“ — რეჟისორი ზაზა ურუშაძე; „პატარძლები“ — რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი; „შემთხვევითი პაემნები“ — რეჟისორი ლევან კოლუაშვილი; ასევე სექციაში „ლენტა პამიატი“ გაიხსენეს ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე და მისი ფილმი „ჩვენი ეზო“.

საერთაშორისო კინოფესტივალის „კინოშოკი“ ანაპაში 1992 წლიდან ტარდება და ამ პერიოდში მან პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალის სახელის მოპოვება შეძლო.

„ინტერპრესნიუსი“

საპელიტონო ასოციაციის გაერთიანება კლინიკურ ღვაწლს განიხილავს

„ვფიქრობთ, ასეთი შემთხვევების რიცხვი გაიზრდება, ვინაიდან სახელმწიფო ცდილობს, მაქსიმალურად აკონტროლოს ხარჯები“



თამარ ლომსაძე 599-20-94-01

საყოველთაო დაზღვევა იმთავითვე მწვავე განხილვის საგნად რომ იქცა, არახალია... არავინ დავობს, რომ ქვეყნის ყოველი მოქალაქის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან კარგი შესტი გახლდათ, თუმცა ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მაშინვე აცხადებდა, რომ ეს პროექტი ჩანასახშივე განწირული იყო ფიასკოსთვის. ასეა თუ არა, ამ თემაზე ახლა მსჯელობას არ ვაპირებთ, მაგრამ ერთი უდავოა: ჩაკეტილი წრე, რომელიც პაციენტს კლინიკასა და სახელმწიფოს შორის შეიქმნა, არცთუ იოლი გასარღვევია, სახელმწიფო დაზღვევით უკმაყოფილო მოქალაქე უხვად გვყავს და როგორც ამბობენ, არც საავადმყოფოების მფლობელები ემადლიერებიან ამ პროექტს; აღარაფერს ვამბობთ ონკოპაციენტებზე, რომელთა სუბსიდირებაც ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ სამწუხაროდ, ქიმიო და სხიური თერაპიების დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი შოლოდ 80 პროცენტია, დანარჩენი 20% კი უმძიმეს ტვირთად აწევს ხალხს, რომლის ძირითად შემოსავალი პენსიაა (ზოგს კი ესეც არ გააჩნია)... კლინიკებშიც არაა სახარბიელო ვითარება — სამედიცინო პერსონალს რიგ შემთხვევებში ხელფასი უგვიანდება მიზეზით — თითქოს სახელმწიფო დაზღვევის თანხებს დროულად არ რიცხავს, ამ ფონზე კი უხელფასო ექიმი თუ ექთანი როგორ მოემსახურება პაციენტს, ალბათ ნათელია. მოკლედ, გამოდის, კმაყოფილი არავინაა და სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, სამედიცინო ასოციაციების გაერთიანებამ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის განუვლი მომსახურების შესწავლა დაიწყო. „ვერსია“ გაერთიანების აღმასრულებელ მდივანს, არჩილ მორჩილაძეს ესაუბრა:

— ჩვენს გაერთიანებაში შემთხვევები განსახილველად შემოდის ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოსგან. დავა ძირითადად ეხება პროგრამის ფარგლებში პაციენტისთვის ჩატარებული მკურნალობის თანამედროვე პროტოკოლებთან შესაბამისობის, მათ შორის რეკომენდებული პრაქტიკის შემთხვევებისა და სხვადასხვა სახის გართულებების შესწავლას.

— დაახლოებით რამდენი განაცხადის განხილვა მოგიწევთ?

— ეს დამოკიდებული იქნება, თუ რამდენ შემთხვევაში ექნება ადგილი დავას. ჩვენს გაერთიანებას ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა. შეგახსენებთ, რომ როდესაც სახელმწიფო ჯანდაცვას კერძო სადაზღვევო კომპანიების შემთხვევით აფინანსებდა, ჩვენ გვინებდა სადაზღვევო კომპანიებსა და კლინიკებს შორის არსებული დავების კლინიკური ნაწილის განხილვა. მაშინ, პროგრამის მოქმედების მეორე-მესამე წელს, შეიქმნა გარკვეული სტატისტიკა. ვფიქრობთ, ასეთი შემთხვევების რიცხვი გაიზრდება, ვინაიდან სახელმწიფო ცდილობს, მაქსიმალურად აკონტროლოს ხარჯები და არის შემთხვევები, როდესაც ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, გადაუხადოს თუ არა ფული კლინიკას.

— რა მოხდება ამ დავების განხილვის შემდეგ?

— ჩვენი გაერთიანების ექსპერტები ახორციელებენ კლინიკურ რეცენზირებას. დასკვნაში გამოჩნდება, ხომ არ განხორციელდა არასაჭირო — დიაგნოზთან დაუკავშირებელი მანიპულაციების ჩატარება, დაავადების გართულების მიზეზი ხომ არ იყო საავადმყოფოს შიდა ინფექცია ან ექიმის არაკვალიფიციური მოქმედება. ჩვენს გაერთიანებაში არის მულტიდისციპლინური ექსპერტთა კომისია, რომელიც საბოლოო რეკომენდაციას შემთხვევებს, რასაც მივანვიდით შესაბამის მარეგულირებელს, რომელიც ამის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას.

— რეკომენდაციების გაცემის შემდეგ რა როლი ექნება თქვენს გაერთიანებას?

— გაერთიანება წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი პროფესიული ასოციაციების გაერთიანებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წელს. ჩვენი საქმიანობის მიმართულებებია: სამედიცინო შემთხვევების კლინიკური რეცენზირება,

პროტოკოლების/გაიდლაინების შემუშავება, მათ დანერგვაში მონაწილეობა, კლინიკური დავების განხილვა, სამედიცინო პერსონალის ტრენინგი; სადაზღვევო შემთხვევების კლინიკური ექსპერტიზა/აუდიტი და ა.შ.

გაერთიანების მიერ მომზადებულია კლინიკური მართვის 400-მდე პროტოკოლი, რომელთაგან 42 დაფინანსდა სახელმწიფო საგრანტო პროგრამით. გაერთიანება თანამშრომლობს ყველა ძირითად სადაზღვევო კომპანიასთან და ახორციელებს სადაზღვევო შემთხვევების კლინიკური ნაწილის რეცენზირებას, გაერთიანება მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან, გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმი.

ბოლო ოთხი წელი გაერთიანება წარმოადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ კონტრაქტორ დაწესებულებას და ახორციელებს სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებულ სრულსაქსპერტო/სარეცენზიო მომსახურებას.

— და როგორ აპირებთ, დაარეგულიროთ ურთიერთობა დაზარალებულსა და მოპასუხე მხარეს შორის?

— ჩვენი ამოცანაა, დავიცვათ ინტერესთა კონფლიქტი და დასკვნა იყოს მაქსიმალურად კვალიფიციური. სხვა საკითხები ჩვენს კომპეტენციას სცილდება და მარეგულირებლის ან სასამართლოს გადასაწყვეტია.

— თქვენი აზრით, რამდენად ობიექტურად წარიმართება ეს პროცესი და თუ შექმნა ადგილი გარკვეულ ზენოლას კლინიკების მფლობელების მხრიდან?

— როგორც აღვნიშნე, რეცენზენტების/ექსპერტების შერჩევას ჩვენ ვითვალისწინებთ ინტერესთა კონფლიქტს, რეცენზენტების შერჩევა ხდება შესაბამისი დარგობრივი ასოციაციის მიერ, ამიტომ მომზადებულ დასკვნაზე პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი ასოციაცია, აქედან გამომდინარე, დასკვნა ობიექტურია და რაც ასევე მნიშვნელოვანია, კომპეტენციის მაღალ ხარისხს ატარებს.

დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია ვართ და არანაირი ზენოლის შექმნაში კერძო კლინიკებს ჩვენზე არ აქვთ. პირიქით, ისინი ცდილობენ, ჩვენი დახმარებით გააუმჯობესონ სამედიცინო დახმარების ხარისხი. გაერთიანების მიერ დადგენილი პროცესი საკონკურსო კომისიის მიერ მოხდა 30-მდე საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის შერჩევა.

— რა როლი ექნება ამ პროცესში ჯანდაცვის სამინისტროს?

— საყოველთაო ჯანდაცვის პროექტის ფარგლებში საჭიროა მკაცრი და რაც მთავარია, კვალიფიციური კლინიკური მონიტორინგი, რომლის დროსაც დასაბუთებულად უნდა მოხდეს კლინიკის მიერ განუვლი მომსახურების ხარჯების დაკორექტირება. არ უნდა მოხდეს თანხების შექმნის შემდეგ, ზოგ შემთხვევაში კლინიკა შეიძლება დაეთანხმოს კიდევ მსგავს შემცირებას (იმიტომ, რომ თანხის მიღება არ გადაუვადდეს)... ამის გათვალისწინებით, ჯანდაცვის სამინისტრო უნდა შეეცადოს იყოს მაქსიმალურად ობიექტური, რათა კლინიკაზე დაკისრებულმა უსამართლო სანქციამ საბოლოოდ პაციენტი არ დაზარალოს. უნდა გვახსოვდეს, რომ, თუ კლინიკას დაუსაბუთებლად დააჯარიმებ, მომავალში ის შეეცდება, მეტი თანხა „ამოიღოს“ პაციენტის ჯიბიდან და აღარ მოსთხოვოს სახელმწიფოს იმის ანაზღაურება, რისი ვალდებულებაც ამ პროგრამითაა გათვალისწინებული.

P.S. პროგრამის თითქოს დამამხრებელია, მაგრამ საკითხავია, შედის თუ არა სადავო საკითხების ობიექტური განხილვა ისეთი ინსტანციის ინტერესში, როგორც ჯანდაცვის სამინისტროა. რაც უნდა იყოს, ბევრი სარჩელი, ბევრი უკმაყოფილო, უფასო, მაგრამ უხარისხო სამედიცინო მომსახურება... ეს ყველაფერი ხომ საყოველთაო დაზღვევის ფიასკოზე მიაწინებს? სადავო თემა კი, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეჭვი გვაქვს, ცოტა არ იქნება.

კლინიკა ან მიიღებს ფულს, ან არა, ასეთ დროს კი მომსახურების ხარისხზე ოცნებაც უტოპიაა, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რა ხდება სადავო საკითხების განხილვის შემდეგ — ჩვენ ხომ უკვე მიჩვეულები ვართ, რომ ანგარიშებსა და დასკვნებს ჩალის ფასი აქვს და ამა თუ იმ რეკომენდაციების შესრულების ბერკეტებიც ნაკლებად არსებობს; მარეგულირებელი, სასამართლო, ცნობა, დასკვნა... ისევ ჩაკეტილი წრეზე ვტრიალებთ და საკითხავია, აქვთ კი პაციენტებს ამდენი დრო და რესურსი, სხვადასხვა ინსტანციაში იდავონ? ან რა გარანტიაა, რომ დასკვნა აბსოლუტურად ობიექტური იქნება და არც ზენოლას ექნება ადგილი კლინიკების მეპატრონთა მხრიდან.



ლაშა დვალი

კახეთში რთველი ნელ-ნელა ძალას იკრებს. ის, რომ სახელმწიფოს კახელი გლეხი გასაჭირი არ აინტერესებს, საპარლამენტო ოპოზიციის მიერ მოგონილი მითია, რომელიც უკვე დაიმსხვრა — გლეხები ყურძენსაც აბარებენ და რთველიც აქტიურ ფაზაში შედის. ამ და სხვა საკითხებზე საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული გვესაუბრება.

— საქართველოში მევენახეობის დარგი ყოველთვის იყო თვითმყოფადი. სტაბილურად იზრდებოდა მოთხოვნა ყურძენზე, დარეგულირებული იყო ურთიერთობა მევენახეებსა და ღვინის კომპანიებს შორის. ნღების განმავლობაში, სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატური პირობის გათვალისწინებით, დაიხვეწა ადგილობრივი ასორტიმენტი, რომელიც მდიდრდებოდა ახალი სელექციური უხვმოსავლიანი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მომცემი ჯიშებით. ამით ამ მხარეში საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო დონის არა მარტო მევენახეობის, არამედ ქართული ღვინის მრეწველობის განვითარებას. 2006 წლიდან, როდესაც წინა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგად დაიკეტა რუსეთის ბაზარი, ქართული ღვინის ექსპორტი მკვეთრად შემცირდა. რამდენად პროგნოზირებადი და სტაბილურია რუსეთის ბაზარი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რუსეთი იყო ქართული ღვინის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა და ამ ქვეყნიდან შემოსული თანხები ხმარდებოდა ღვინის ქარხნების სანარმოო პოტენციალის ზრდას, ვენახების გაშენებას, ახალი ბაზრების მოძიებას. წინა ხელისუფლებამ ეკონომიკურად მზარდ პროექტი — მევენახეობა, გადააქცია სოციალურ პროექტად.

— ბატონო გელა, ყურძნის სუბსიდირების თემაზე რას იტყვი?

— დაიწყო ყურძნის სუბსიდირება, მევენახე გახდა რაოდენობაზე და არა ხარისხზე ორიენტირებული. ამ დარგში შექმნილი სისტემა, თავისი დაფინანსების მოდელით, არ ითვალისწინებდა მევენახისა და მეღვინის პრობლემების მოგვარებას. ის მხოლოდ სახელმწიფოზე დამოკიდებულს ხდიდა მათ. ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა გამზადებული სია, ვის რა რაოდენობის ყურძენი უნდა შეესყიდა და არ ითვალისწინებდა ღვინის მწარმოებელი კომპანიების შესაძლებლობებსა და განვითარების გეგმებს. იყენებდა პოლიციურ მეთოდებს და მუქარით, ციხეში ჩასმით, ქარხნების დალუქვით აიძულებდა კომპანიებს შეეძინათ უხარისხო, არაკონდიციონერი ყურძენი. მევენახეები, ვისაც 10 ჰექტარზე მეტი ფართობის ვენახი ჰქონდა, „ფაშისტებად“ მონათლეს და აუკრძალეს ყურძნის ჩაბარება ღვინის ქარხნებში. ეს დარგი იქცა წინა ხელისუფლების მიერ მევენახეებისა და მეღვინეების შანტაჟის წყაროდ. რთველის დაწყების თარიღი ინიშნებოდა იმის მიხედვით, როგორ წარიმართებოდა პიარკამპანია.

— არადა, თქვენი კოლეგა გიორგი ღვინიაშვილი აცხადებს, რომ მათ დროს სხვაგვარად იყო...

— სწორედ ამის დასტურია კახეთის ყოფილი გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის სატელევიზიო კომენტარი, ჩვენ დროს, 15 სექტემბრისთვის, რთველი უკვე ნელში გადატეხილი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ რთველის ვადები დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე და ერთმნიშვნელოვნად ზუსტი თარიღის მითითება შეუძლებელია. ამ პროცესის უშუალო თვითმხილველი ვიყავი და სამწუხაროდ, ძალიან კარგად მახსოვს მაშინ შექმნილი მძიმე მდგომარეობა. მევენახეობა-მეღვინეობაში წინა ხელისუფლების მიერ დატოვებულ ამ უმახინჯესი სისტემის შედეგებს მტკივნეულად იმკის დღეს მევენახე და ქვეყნის ბიუჯეტი. აღნიშნულმა მოდელმა მევენახისა და მეღვინის პრობლემები ვერ მოაგვარა. პირიქით, — უფრო გააღრმავა. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ აქვთ მორალური უფლება, გააპროტესტონ მევენახეებისა თუ მეღვინეების წინაშე არსებული პრობლემები, რადგან ისინი მათი შექმნილია. სუბსიდირების შემცირება ან მოხსნა მოსახლეობისთვის უკვე წარმოუდგენელია. ამის შედეგია ისიც, რომ დაიძაბა ურთიერთობა მევენახეებსა და ღვინის კომპანიებს შორის. მევენახე ღვინის კომპანიას მონიშნავდნენ, რომ უნდა განიხილავდეს, რადგან თანამშრომლობის გარეშე არც ერთს აქვს განვითარების პერსპექტივა. რაც შეეხება ყურძნის ფასს, რომლის შესახებაც დიდი ვენებათა ლეგვაა, მეც მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ ყურძენი ღირდეს ლარი და უფრო მეტი. მევენახეების კარგად მესმის, რადგან ხშირ შემთხვევაში მათთვის ვენახი შემოსავლის ერთადერთი წყაროა, მაგრამ... აქამდე უნდა მივიდეთ. უნდა გავაჩინოთ მოთხოვნა ყურძენზე. ამის გზა არის ღვინის კონკურენტუნარიანობის, გაყიდვების გაზრდა/მევენახე-

გელა სამხარაული: „თუ გლეხი ვერ გაყიდის ყურძენს, მაშინ სახელმწიფო იმ ფასად ჩაიბარებს, რომ მევენახეს მოგებაც ღირს“

როგორ მოგვარდება მევენახეების პრობლემები

ებმა კარგად უნდა გაცნობიერონ, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის ურთიერთხელსაყრელი მორიგება გარდაუვალია. გლეხმა უნდა იზრუნოს, გაზარდოს ყურძნის ხარისხი, თუ მეღვინეებს ვერ მივაწოდებთ ხარისხიან პროდუქციას, ვერ შევძლებთ ხარისხიანი მეღვინეობის განვითარებას და ექსპორტის ზრდას. მიმდინარე რთველის სეზონზე ყურძენზე ფასის დავარდნა რამდენიმე ფაქტორის გამო მოხდა.

— რას გულისხმობთ?

— კონკრეტულად, რუსეთის ეკონომიკაში არსებულმა კრიზისმა ძალიან ცუდი გავლენა იქონია ქართული ღვინის გაყიდვების მოცულობაზე. ამასთან ერთად ქართული ღვინის მნიშვნელოვანი ბაზარი უკრაინაც პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ფინანსურ კრიზისშია და ამ ქვეყანაშიც ჩვენი ღვინოების გაყიდვების მაჩვენებელი ძალიან დაბლა ჩამოვიდა. ფაქტობრივად, ქართული ღვინის ექსპორტი ამ ქვეყნებში მკვეთრად შემცირებულია. შედეგად, ნელს ყურძენზე მოთხოვნილება უფრო ნაკლებია, ვიდრე შარშან იყო. ასევე გვაქვს ჭარბი მოსავალიც. ეს ყველაფერი კი მოქმედებს ფასზე, თუმცა ხარისხიან ყურძენზე მოთხოვნა მაინც არის. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ — თუ მევენახე მაინც ვერ გაყიდის ყურძენს, მაშინ ჩაიბარებს სახელმწიფო იმ ფასად, რომ არ იზარალოს მევენახე და გარკვეული მოგებაც ღირს.

— ამ რთვისგან რას ელით?

— ვფიქრობ, მიმდინარე რთველი პრობლემების მიდგომის თვალსაზრისით ნყალგამყოფი იქნება არსებულ მიდგომებსა და ახლებურ მიდგომებს შორის. სახელმწიფო არ შევიდა კონკურენციაში მწარმოებთან და არ აიძულა მეღვინეები, ყურძენი ძალად შეესყიდათ, როგორც წინა ხელისუფლება იქცეოდა და ფასი მაინდო ბაზარს. ძველი მიდგომებით, სუბსიდირებით, სახელმწიფო ჩარევის სხვადასხვა მეთოდებით და ა.შ. მევენახის და დარგში არსებული პრობლემები ვერ მოგვარდა, დაიხარჯა ათეულობით მილიონი ლარი და პრობლემა პრობლემად დარჩა. რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება ამ პრობლემის გადასაჭრელად? ამოქმედდა ფარულად ღვინის პროგრამა, შემცირდა რისკები. სახელმწიფო შევიდა გლეხებთან თანდაფინანსებაში და 182 მლნ ლარის პროდუქცია იქნა დაზღვეული. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში. ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიებისთვის მოქმედებს იაფი სესხის გაცემაც. გაფართოვდა სამუშაოები მელიორაციის მიმართულებით, დამონტაჟდა სექციის საწინააღმდეგო დანადგარები. რაც საშუალებას მოგვცემს, გლეხებს დამატებითი ზარალი ავაცილოთ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, სექცია რომ მოვიდეს, უნდა წინა ხელისუფლების წარმომადგენლები „ვამას“ დახილოთ ხვედრდნენ და პასუხისმგებლობას იცილებდნენ თავიდან. რაც შეეხება უშუალოდ მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გატარებულ ღონისძიებებს, „ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებებზე“ 2013-2015 წწ გამოიყო 10 მილიონ 783,2 ათასი ლარი.

— და ეს ხარისხზე ისახება?

— რა თქმა უნდა. ქართული ღვინის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელის ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად შექმნილია ლაბორატორიული მონოპოლიზაცია. ეს იძლევა საშუალებას თავიდან ავიცილოთ ბაზარზე შეუმომწებელი, დაბალხარისხიანი ალკოჰოლური სასმელის რეალიზაცია. 2013 წელს შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობით ხდება თითოეული კოლოგრაფი ყურძნის ჩაბარების აღრიცხვა ჯიშის, რაოდენობის და სხვა პარამეტრების მიხედვით. ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების საფუძველზე გამოიკვლია პრიორიტეტული ბაზრები; შემუშავებული იქნა 2014 წლისა და 2015 წლის ერთიანი მარკეტინგული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთზე

აქცენტი, უპირატესობების მიხედვით გამოიყო პრიორიტეტული ბაზრები (აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბალტიისპირა ქვეყნები). შეიქმნა ქართული ღვინის ბრენდლაგორმა, საკომუნიკაციო მესიჯები და ქართული ღვინის ლოგო.

2013 წლიდან დაიწყო მუშაობა და შეიქმნა ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიისა და კულტურის კვლევის და პოპულარიზაციის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია ქართული ვაზის წარმოშობის ისტორიის კვლევის ნახალისება და მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ღვინის პოპულარიზაცია. 2013 წლიდან დაიწყო ვენახის კადასტრის სისტემის აგების სამუშაოები. სისტემის მიზანს წარმოადგენს ვენახების ფართობების, გაშენებული კულტურების, ღვინის წარმოების სფეროში დასაქმებული მევენახეების და მწარმოებლების იდენტიფიცირება. უკვე დასრულდა ვენახების ტოპო და აეროფოტოგრაფირება, აზომებით სამუშაოები და მესაკუთრეთა აღრიცხვა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. დადგენილია ვენახების ფართობები. ამჟამად, ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში.

— ნელს კიდევ რა ღონისძიებები იგეგმება?

— ისევ გაგრძელდება საქსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების პოლიტიკის გაგრძელება და ამ მიზნით მარკეტინგული აქტივობების მნიშვნელოვანი ზრდა ისეთ ბაზრებზე, რომლებშიც ხორციელდება ქართული ღვინის ექსპორტი. კერძოდ, ეს ბაზრებია: ინგლისი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და იაპონია. ამასთან, შენარჩუნდება ფართომასშტაბიანი პოპულარიზაციის ღონისძიებები აშშ-ში, ჩინეთსა და პოლონეთში, რომლებიც ითვლება პრიორიტეტულ ბაზრებად და სააგენტოსათვის წარმოადგენს დივერსიფიცირების ერთერთ მთავარ ობიექტებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ დავგვიხარჯავს არც ერთი თეთრი რუსეთის მიმართულებით. შერჩეულია რამდენიმე ქვეყანა, სადაც აქტიური მარკეტინგული ღონისძიებები გატარდა და უმოკლეს ვადაში შეიძლება მივაღწიოთ კარგ შედეგს. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის დაგეგმილია 4 950 000 ლარის ათვისება. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში მიმდინარე აქტივობების ბიუჯეტი 415 500 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას შეადგენს, ჩინეთში მიმდინარე აქტივობების ბიუჯეტი 381 014,89 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას შეადგენს, ხოლო პოლონეთში 106 035, 45 ევროს ექვივალენტს ლარში.

ამასთანავე ქართული ღვინის ცნობადობის კუთხით, გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: ქართული ღვინის დეგუსტაციების, პრეზენტაციების და სემინარების მოწყობა, ბექტური და სოციალური მედია საშუალებების გზით ქართული მეღვინეობის შესახებ სტატიების განთავსება, სპეციალური ტურების მოწყობა უცხოელი იმპორტიორების, სომეღვინეების და ამ სფეროში მოღვაწე სხვა პირებისთვის, ქართული ღვინის დღეების მოწყობა პრიორიტეტულ ბაზრებზე ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების ჩატარება; პრესტურების, მედიაკამპანიების, ბაზრის კვლევების, სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელება; პრიორიტეტული ქვეყნების ღვინის მოხმარების ანგარიშის შექმნა; პრიორიტეტულ ბაზრებზე მარკეტინგული და პიარკომპანიების წარმოება. ასევე დაწყებულია ბრძოლა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. პარლამენტში უკვე შემოსულია კანონპროექტი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ და კომიტეტს ექნება მსჯელობა ამ თემაზე. და ბოლოს, მიმანია, რომ რთველის პროცესი აუცილებლად უნდა გავიდეს „პოლიტიკური დემაგოგის სივრცეიდან“ და გადავიდეს ბიზნესის ჯანსაღ სივრცეში. ამ პროცესს თავად უნდა შეუწყონ ხელი. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, უნდა ვვიტყუოთ, უნდა ვიმსჯელოთ და უნდა ვაკეთოთ, რომ შევქმნათ უკეთესი მომავალი, სხვა გზა არ გვაქვს.

პარტიული ჯარისკაცები სენარაული აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრა



უსაფრთხოებასა და მშვიდობას უზრუნველყოფს. ეს ბევრჯერ დადასტურდა წლების განმავლობაში. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალაში, ფრანგებთან და გერმანელებთან ერთად მისია უკვე შეასრულეს ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები 5-კაციანი შემადგენლობით ჩაერთვებიან. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აფრიკაში გამგზავრებამდე სამხედროებს თავდაცვის მინისტრმა უმასპინძლა. შეხვედრას გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და მისი მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე დაესწრნენ. „საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ წამოწყებული ნებისმიერი ქმედების თანამონაწილეა, რომელიც მსოფლიო უსაფრთხოებასა და მშვიდობას უზრუნველყოფს. ეს ბევრჯერ დადასტურდა წლების განმავლობაში. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალაში, ფრანგებთან და გერმანელებთან ერთად მისია უკვე შეასრულეს ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა. დღეს, როდესაც მისიის ტრანსფორმაცია მოხდა, შესაძლებლობების ფარგლებში, კვლავ ვებმარებით ოპერაციის წარმატებას“, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ კი ყურადღება მისიაში ქართველი სამხედროების მთავარ ფუნქციებსა და ამოცანებზე გაამახვილა: „ქართული ჯგუფის ამოცანა იქნება, განახორციელოს სწრაფი რეაგირების მოქმედებები. ძირითადად, ეს იქნება ევროპიდან გაგზავნილი მალაში თანამდებობის პირების კონტინგენტის დაცვა, ესკორტირება. ამ პირობებისთვის იქ ძალიან დაძაბული ვითარება არ არის, მაგრამ ისეთი რეგიონია, რომ ყოველ წუთს შეიძლება რაღაც მოხდეს. ჩვენი სამხედროები არიან სათანადოდ მომზადებულები, ნამყოფები არიან უცხოურ მისიაში და აქვთ გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, კარგად გაართმევენ თავს ამ ამოცანას“. ქართველი ჯარისკაცების გადასროლასთან დაკავშირებულ ყველა ლოგისტიკურ ხარჯს ფრანგული მხარე და ევროკავშირი ფარავს. სამხედრო მოსამსახურეები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სექტემბრის ბოლოს გაემგზავრებიან და მისიას თვის განმავლობაში შეასრულებენ. საქართველოსა და ევროკავშირის შორის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩაერთო ხელშეკრულებას ხელი 2013 წლის ნოემბერში მოეწერა. ქართული ქვედანაყოფები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიაში 2014 წლის ივნისიდან მონაწილეობენ.

„ინტერპრესნიუსი“



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

		6		8				
3	1		9					
9	7		4		1		5	
			5	9			2	
	9		4				7	
6			1	2				
4		2		5		3	7	
				4			9	2
			7		1			

	1		3					
	7						2	
9	4		3				8	
	3				4	6		
8			1	9	5			4
		4	6					5
	6				3		7	8
			8				1	
							4	6

			6					
	1					8	7	
7	6	9		1				4
6	9			5	3			
				8				
			9	4			8	5
2			3		7	9	1	
	4	7				2		
						1		

			3		6			1		
	8						7			6
	7								3	9
			4	9					2	7
	2									3
7	6					2	5			
	4	1							5	
	5				2				4	
				4				7		2

კლიენტებს თავხედი ოფიციატები იზიდავენ



ამერიკულმა რესტორანმა Dick's Last Resort ცოტა ხნის წინ უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა მომსახურე პერსონალის უჩვეულო ურთიერთობის მანერით. ამ დანესებულების კლიენტი მორალურად მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ დაამცირებენ და შეურაცხყოფენ. რესტორანი მსურველებს სტიკით, შემწვარი ნეკნებითა და წინილით, ბურგერებით უმასპინძლებდა და ყველაფერი უზარმაზარი ულუფით იყიდება, თუმცა, ადამიანები აქ მთელი ქვეყნიდან რესტორნის

სამზარეულოს გასაცნობად არ მიდიან — მათ იქაური უხეში და თავხედი პერსონალი იზიდავს. დანესებულება ჩვეულებრივი საზოგადოებრივი კვების ობიექტად გაიხსნა რვა წლის წინ. მსგავსი რესტორნების ურავლესობამ კრიზისს ვერ გაუძლო და გაკოტრდა და სწორედ ბიზნესის გადასარჩენად, მფლობელმა სტივ შიფმა არჩევანი გიჟურ იდეაზე შეაჩერა — რესტორნის კლასიკური გაფორმება ექსცენტრულ-იდიოტურით შეიცვალა, მეტად თავაზიანი პერსონალი კი უცებ კლიენტების მიმართ უხეში და მოურიდებელი გახდა. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: ამ უაზრო კონცეპტმა გაამართლა და დღეს Dick's Last Resort წარმატებული ბიზნესია 30-მდე რესტორნით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. აქაური ოფიციატების სახეზე კლიენტი ადვილად ამოიკითხავს: „თავი როგორ მომაბეზრე“ და შესაძლოა, სახეში ხელსახოცი მოხედეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ ზღვარს არაფერია აბიჯებს და ცდილობენ, ყველაფერს იუმორის ელფერი მიანიჭონ.

წინა ნომერი გასული სკანდორღისა და სულოკუს პასუხები

6	3	8	2	7	5	4	1	9
5	4	1	9	6	3	7	2	8
9	7	2	4	1	8	6	3	5
4	2	3	8	9	1	5	7	6
8	6	9	5	2	7	1	4	3
7	1	5	6	3	4	9	8	2
3	8	7	1	5	6	2	9	4
2	5	4	7	8	3	6	1	9
1	9	6	3	4	2	8	5	7

9	8	6	5	4	3	7	2	1
5	4	7	8	2	1	3	9	6
3	2	1	9	7	6	5	8	4
7	5	4	6	9	2	1	3	8
8	1	3	7	5	4	2	6	9
6	9	2	3	1	8	4	7	5
1	3	5	2	8	9	6	4	7
2	7	9	4	6	5	8	1	3
4	6	8	1	3	7	9	5	2

3	4	5	2	1	9	8	7	6
9	7	2	8	6	5	4	1	3
8	6	1	7	3	4	2	5	9
7	5	6	1	4	2	3	9	8
2	3	8	5	9	7	6	4	1
1	9	4	6	8	3	7	2	5
6	2	9	4	5	8	1	3	7
5	1	7	3	2	6	9	8	4
4	8	3	9	7	1	5	6	2

9	8	6	7	4	1	5	3	2
5	4	3	2	9	8	6	1	7
7	2	1	6	5	3	9	8	4
4	9	8	1	3	5	2	7	6
6	1	2	9	8	7	4	5	3
3	7	5	4	2	6	1	9	8
8	3	4	5	1	2	7	6	9
1	6	9	3	7	4	8	2	5
2	5	7	8	6	9	3	4	1

მე-10 გვერდი: 1. მეტაფორა; 2. ელჩი; 3. აკროსტიქი; 4. ოკარინა; 5. გრენობლი; 6. რაეო; 7. ნიდერლანდი; 8. ბლინდაუი; 9. ანოსმია; 10. „ოსა-სუნა“; 11. რაველი; 12. ბეატრიჩე; 13. სენდვიჩი; 14. იაბო; 15. აირტონ; 16. რადარი; 17. ნესტან; 18. ბაგა; 19. ტაიფუნი; 20. ტირსო; 21. ატა; 22. სისქე; 23. კლიპი; 24. „ოქტავია“; 25. აზალაი; 26. ბარჟა; 27. არნივი; 28. ტომი; 29. კრიჟი; 30. ფრონტიტი; 31. ნაი; 32. ლიუ; 33. ექო; 34. რომეო; 35. ულაყი; 36. დო; 37. აიეტი; 38. სპირი; 39. ოკეი; 40. ჟასმინი; 41. მანი; 42. იტონი; 43. ანი; 44. ნინია; 45. მესხი; 46. სუმო; 47. სან; 48. ამაო; 49. აბო; 50. პიკოვიტი; 51. ომარი; 52. ონისე; 53. პაი; 54. კულისიე; 55. ლაში; 56. ლიეპა; 57. აბი; 58. ხვალ; 59. პონი; 60. ობამა; 61. ერბო; 62. ლაილაში; 63. მაიკ; 64. სნო; 65. იპონი; 66. ჩიტა.

ვერსია
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
 UDC(უაპ)070.48.32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
 მდივანი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
 გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
 სტილისტი – ნინო ებანოძე
 დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
 ტელ: +995 322942399



დაცულია საავტორო უფლებები.
 რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიებში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ყველაზე უჩვეულო პროფესიები



გედების დათვლა და მატარებელში ხალხის შეტენვა, დაგვეთანხმებით, მართლაც იშვიათი პროფესიაა. ამ და კიდევ ზოგიერთ უცნაურ შრომით მოვალეობებს ერთ-ერთი ინტერნეტპორტალი აქვეყნებს. სავარაუდოდ, მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო საქმიანობა სირაქლემას ბარტყების მომწოდებლობაა. ამ „ძიძებს“ აფრიკის სამხრეთში ნახავთ — ისინი ზრუნავენ, ბარტყებმა ერთმანეთი არ დაკანრონ. ლონდონის სამეფო სახლის უჩვეულო თანამშრომლად მიიჩნევა ყვავების ზედამხედველი. მის მოვალეობაში შედის ფრინველების დაპურება და ამ მჩხვანან არსებების გართობა, რათა ისინი არ გაფრინდნენ სასახლიდან, რადგან გვირგვინის დამცველებად ითვლებიან. ნისლიან ალბიონზევე შეხვდებით ადამიანს, რომელიც ხელფასს გედების დათვლაში იღებს. ისინი ამ გრაციოზული ფრინველების აღწერას აწარმოებენ და მათ გამოკვებაზეც ზრუნავენ. კიდევ ერთი იშვიათი და უცნაური პროფესია ამომავალი მზის ქვეყანაშია — იაპონიის დედაქალაქის სარკინიგზო სადგურებზე მუშაობენ ადამიანები, რომელთაც „მიმწოდებლები“ ეძახიან და მათი მოვალეობა პიკის საათში, გადავსებულ ვაგონებში მგზავრების შეტენვაა.

მარილი – სიმსუქნის მიზეზი



ლონდონის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ მარილის ჭარბი მოხმარება შესაძლოა სიმსუქნის მიზეზი გახდეს, იმის მიუხედავად, რამდენ კალორიას მიირთმევს ადამიანი. 450 ზაუნისა და 780 მოზრდილი ადამიანის გამოკვლევებისას სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ჭარბწონიან ადამიანებს ორგანიზმში მარილის ყველაზე მეტი რაოდენობა აღმოაჩნდათ. ამასთან, მარილის ყოველი დამატებითი გრამი, რომელსაც ადამიანი მოიხმარს ყოველდღიურად, 25%-ით ზრდის სიმსუქნის განვითარების ალბათობას. იმ შემთხვევებშიც კი, როცა საერთო მოხმარებული კალორიების რაოდენობას ითვალისწინებენ, ზედმეტი კილოგრამების წარმოქმნის მთავარ მიზეზად მაინც მარილი რჩება. მკვლევარები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ უაყოფითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე.

დასვის პოლიცია მოხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს



125

დასვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.



GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- სანავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125
 SECURITY POLICE 125
www.125.ge



შს-მ კომპიუტერული მონაცემის უნებართვო უხეშობა და თაღლითობის ფაქტზე 43 პირი პასუხისმგებელი მისცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, თბილისში კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლის და თაღლითობის ფაქტზე, 43 პირი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიესცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ფასდაკლებების ერთ-ერთ ვებ-საიტზე სხვადასხვა დროს შეიძინეს სხვადასხვა კატეგორიის მომსახურება და პროდუქცია. მათ გადახდის დროს, ფასდაკლებების ვებსაიტის ელექტრონული საგადახდო დავალების ვებგვერდში ხელოვნური ჩარევის გზით, თანხის ველში უკანონოდ შეიტანეს ცვლილება და პროდუქციის რეალური ღირებულების ნაცვლად 0,01 თეთრი მიუთითეს, კომპიუტერული მონაცემების შეცვლის შედეგად, მიზერულ ფასად შექმნილ მომსახურებას და პროდუქციას კი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ. ბრალდებულების მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად, ფასდაკლებების კომპანიამ დიდი ოდენობით — 95047 ლარის მატერიალური ზიანი მიიღო. ყველა ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლის და თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 286-ე მუხლის 1-ლი, 180-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით).

„ვერსიანუსი“



შს-ს თანამშრომელმა მსოფლიო ჩემპიონატი 1 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა

მსოფლიო ჩემპიონატი ტრიატლსა და ბიატლში, რომელმაც სტარტი ბათუმში აიღო, დასრულდა. საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომელმა გიორგი ბერძენიშვილმა ჩემპიონატის მესამე დღეს, ინდივიდუალურ გამოსვლაში ბიატლში ოქროს მედალი მოიპოვა. წარმატებულმა სპორტსმენმა საქართველოს ნაკრებს ჯამში სამი — 1 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი შემატა.

მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლსა და ტრიატლში საქართველოში პირველად, თანამედროვე ხუთჭიდისა საერთაშორისო კავშირის, საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის და ტრიატლონის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით იმართება.

„ვერსიანუსი“

შს-მ პარიონის უხეშველი 50 შეკვრა ნარკოტიკი აპოიღო

შს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული მერაბ მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, პარიონის შემცველი, 50 შეკვრად დაფასოებული, 12,8096 გრ ნარკოტიკული საშუალება აპოიღეს. ნარკოლოგიური შემონემებით დაკავებულს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანუსი“

